შემუშავებულია უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ
(10.10.2017 წ. ოქმი №1)
დამტკიცებულია უნივერსიტეტის სენატის მიერ (12.10.2017 წ. ოქმი №1)
ცვლილება შესულია
რექტორის 2021 წლის 28 დეკემბრის
№ 47/01 ბრძანებით

(ა)პი საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება
(კონსოლიდირებული)

პრეამბულა

ეს დებულება აწესრიგებს ა(ა)პი საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულ(ებ)ის სადოქტორო პროგრამ(ებ)ის განხორციელებისა და შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ პროცედურას. აგრეთვე უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს ფუნქციონირების წესს.

მუხლი 1. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულ(ებ)ის დოქტორანტურა

1. დოქტორანტურა არის აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხური, სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს პროფესიული მოღვაწეობის შესაბამისი სფეროების მაღალკვალიფიციური აკადემიური კადრების მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

2. უნივერსიტეტის ფაკულტეტ(ებ)ის დოქტურანტურის მიზნებია: დოქტორანტის ინტელექტუალური ზრდა, აკადემიური და კვლევითი რესურსების დაახლოება, სამეცნიერო მუშაობის გააქტიურება, შესაბამისი პროდუქტის/ნაშრომის შექმნა, დოქტორანტის ინტეგრაცია საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში; ასევე მოღვაწეობის შესაბამისი სფეროების მაღალკვალიფიციური აკადემიური კადრების მომზადება, რომლებსაც შესწევთ უნარი: შექმნან ახალი ფუნდამენტური ცოდნა, კრიტიკულად გააანალიზონ დაგროვილი სამეცნიერო გამოცდილება და მიღებული სამეცნიერო შედეგები გაავრცელონ პუბლიკაციების მეშვეობით, ასევე სასწავლო პროცესში და პრაქტიკაში მათი დანერგვის გზით.

3. დოქტორანტი არის პირი, რომელიც სწავლობს დოქტორანტურაში.

4. დოქტორი არის მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს დოქტორანტურისათვის გათვალისწინებული კომპონენტების შესრულებისა და დისერტაციის დაცვის შედეგად ენიჭება.

5. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, შესაბამისი სპეციალობით სადოქტორო პროგრამ(ებ)ის მოთხოვნების შესაბამისად.

6. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიეცეს უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული შესაბამისი კვალიფიკაციის/აკადემიური ხარისხის მქონე პირს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 2. დოქტორანტურაში მიღების პირობები

1. უნივერსიტეტის ფაკულტეტ(ებ)ის დოქტორანტურაში მიღება ცხადდება მხოლოდ აკრედიტირებულ სადოქტორო პრორამებზე.

2. დოქტორანტობის კანდიდატი დადგენილი წესით წარმოადგენს განაცხადს და გადის გასაუბრებას

საგამოცდო კომისიასთან.

3. საგამოცდო კომისია იქმნება შესაბამის ფაკულტეტ(ებ)ზე, რომლის შემადგენლობასაც ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი დადგენილი წესით.

4. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ-ერთი უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული ან საკვლევი თემის სპეციფიკიდან გამომდინარე რომელიმე სხვა უცხო ენა) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა, რომელიც მოწმდება დოქტორანტურაში მისაღები გამოცდის ჩაბარებით შესაბამის უცხო ენაში. გამოცდის ჩატარებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტი.

5. უცხო ენის გამოცდიდან თავისუფლდება პირი, რომელიც წარმოადგენს უმაღლესი განათლების დიპლომს, შესაბამისი უცხო ენის სპეციალობით, ან შესაბამისი პროფილის აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებული გამოცდის დამადასტურებელ მოწმობას (არანაკლებ B2 დონე) ან უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისოდ აღიარებულ სერთიფიკატს (TOEFL PBT, TOEFL IBT, IELTS ან Cambridge Exam).

6. დოქტორანტობის კანდიდატი, რომლის მშობლიური ენა არ არის ქართული და რომელსაც სურს ქართულენოვან პროგრამაზე სწავლა, წარმოადგენს ქართული ენის ცოდნის დამადასტურებელ სერთიფიკატს (B2 დონე) ან შესაბამისი პროფილის აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებული გამოცდის დამადასტურებელი მოწმობას ან/და უმაღლესი განათლების დიპლომი ქართული ენის პროფილით. სხვა შემთხვევაში აბარებს ქართულ ენაში გამოცდას. გამოცდის ჩატარებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტი.

7. დოქტორანტობის კანდიდატი, რომელიც აბარებს უცხოენოვან პროგრამაზე, წარმოადგენს შესაბამისი ენის არანაკლებ C1 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისოდ აღიარებულ სერთიფიკატს ან აბარებს შესაბამის საუნივერსიტეტო გამოცდას. თუ აღნიშნული დოქტორანტობის კანდიდატისთვის ენა მშობრილურია, წარმოადგენს სხვა უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერთიფიკატს, ან აბარებს შესაბამის საუნივერსიტეტო გამოცდას დადგენილი წესის მიხედვით.

8. უნივერსიტეტის ფაკულტეტ(ებ)ის დოქტორანტურაზე სტუდენტის ჩარიცხვა ხდება შესაბამის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულზე საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობების მოთხოვნების გათვალისწინებით, წინასწარი გასაუბრების, სპეციალობასა და უცხო ენაში გამოცდებზე მიღებული შედეგების მიხედვით.

9. სადოქტორო პროგრამებზე მისაღები წინასწარი გასაუბრება/გამოცდები ტარდება მისამართზე: ქალაქი თბილისი, ქუჩა დიმიტრი უზნაძე, №68.

10. დოქტორანტობის კანდიდატთა წინასწარი გასაუბრების/გამოცდის/გამოცდების შედეგები ფასდება მაქსიმალური შეფასების 100-ქულიანი სისტემით. ქულების დაანგარიშება მოხდეს შემდეგი წესით:

ა) შესანიშნავი ცოდნა და უნარები - მაქსიმალური შეფასების 91-100%;

ბ) კარგი ცოდნა და უნარები - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

გ) საშუალოზე მაღალი ცოდნა და უნარები - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

დ) საშუალო ცოდნა და უნარები - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ე) მინიმ. კრიტერიუმის შესაბამისი ცოდნა და უნარები - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ვ) ცოდნა და უნარები ვერ აკმაყოფილებს მინიმ. კრიტერიუმს - მაქსიმალური შეფასების 0-50%.

11. დოქტორანტობის კანდიდატისთვის უნივერსიტეტის მიერ შეიძლება დადგინდეს დამატებითი მოთხოვნები. სადოქტორო პროგრამაზე მისაღები გამოცდების პროგრამებს, ჩატარების ფორმასა და თარიღს, აგრეთვე, დოქტორანტობის კანდიდატისთვის დამატებით სხვა მოთხოვნებს განსაზღვრავს უნივერსიტეტის რექტორი, უნივერსიტეტის ფაკულტეტ(ებ)ის წარდგინებით.

12. სადოქტორო პროგრამებზე მისაღები წინასწარი გასაუბრების/გამოცდის/გამოცდების შედეგებზე დოქტორანტობის კანდიდატს უფლება აქვს წარმოადგინოს საპრეტენზიო განცხადება, შედეგების გამოქვეყნებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში. საპრეტენზიო განცხადებებს განიხილავს უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული (საპრეტენზიო განცხადების არსებობის

შემთხვევაში) საპრეტენზიო საბჭო (საპრეტენზიო საბჭო არ შეიძლება შედგებოდეს იმ პირებისაგან, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული დოქტორანტობის კანიდატ(ებ)ის შეფასებაში).

მუხლი 3. დოქტორანტურაში ჩარიცხვა

1. უნივერსიტეტის ფაკულტეტ(ებ)ის დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველს წერილობითი განაცხადი შეაქვს რექტორის სახელზე, რომელშიც მითითებული უნდა იყოს სადოქტორო პროგრამის დასახელება შესაბამისი მიმართულებით (კონცენტრაციით) და მოდულით (არსებობის შემთხვევაში).

2. განაცხადს თან უნდა ერთოდეს:

- განმცხადებლის ავტობიოგრაფია (CV);

- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი (დედანის წარდგენით);

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

- რეფერატი ან კვლევითი ხასიათის სტატია, რომელშიც აისახება მისი სამეცნიერო ინტერესები (5-7 გვ.);

- არსებობის შემთხვევაში, უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატის ასლი (დედანის წარდგენით), ან უცხო ენაში ჩაბარებული გამოცდის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (დედანის წარდგენით); ან ქართული ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (დედანის წარდგენით) უცხოენოვანი დოქტორანტობის კანდიდატებისთვის მე-2 მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილის შესაბამისად. თუ განმცხადებელს არ გააჩნია შესაბამისი სერტიფიკატი უცხო ენაში, გამოცდის ჩატარებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტი.

3. ფაკულტეტის საგამოცდო კომისიის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს დოქტორანტურაში კანდიდატის დოქტორანტად ჩარიცხვის შესახებ ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს. გადაწყვეტილება ეცნობება ფაკულტეტ(ებ)ს.

4. უნივერსიტეტსა და დოქტორანტს შორის ურთიერთობა რეგულირდება საქართველოს ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებითა და მისი სხვა ინდივიდუალური სამართლებრივი რეგულაციებითა და ხელშეკრულებით. ხელშეკრულების ფორმას და შინაარსს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში ადგენს უნივერსიტეტი.

მუხლი 4. სადოქტორო პროგრამაზე სწავლის საფასური

1. დოქტორანტურაში სწავლის საფასური შეიძლება დაიფაროს სახელმწიფო გრანტის, საუნივერსიტეტო დაფინანსების, სტიპენდიების, ქველმოქმედების და თვითდაფინანსების ფორმით.

2. თვითდაფინანსების შემთხვევაში დოქტორანტი სწავლის საფასურს იხდის დადგენილი წესით. დოქტორანტის ფინანსური ვალდებულება აისახება ამ დოქტორანტის, მისი სამეცნიერო ხელმძღვანელისა და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილ ხარჯთაღრიცხვაში (იხ. დანართი №1), რომელიც ფორმდება პირველი სასწავლო წლის დასაწყისში. აღნიშნულ ხარჯთაღრიცხვაში სათანადო საფუძვლების არსებობის შემთხვევაში უნივერსიტეტის რექტორის განკარგულებითი დოკუმენტით შესაძლებელია შეტანილი იქნეს ცვლილებები, რაც გონივრულ ვადაში ეცნობება დოქტორანტს.

მუხლი 5. სადოქტორო პროგრამა

1. სადოქტორო პროგრამის შემუშავება ხდება:

- უნივერსიტეტის ერთი ან რამდენიმე პროფესორის მიერ;

- პარტნიორ უნივერსიტეტთან ერთად;

- სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულებასთან ერთად – უნივერსიტეტსა და ამ დაწესებულებას შორის დადებული სათანადო ხელშეკრულების ან მემორანდუმის საფუძველზე;

2. სადოქტორო პროგრამას ხელმძღვანელობს (თანახელმძღვანელობს) უნივერსიტეტის პროფესორი.

3. სადოქტორო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელია მისი დადგენილი წესით აკრედიტაცია.

4. სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს:

- უნივერსიტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი;

- პარტნიორი სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულების სათანადო ხარისხის მქონე მეცნიერი;

- სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი.

- შესაბამისი ხანგრძლივი პრაქტიკული გამოცდილების მქონე დარგის აღიარებული სპეციალისტი.

მუხლი 6. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

1. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დოქტორანტს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სამეცნიერო ხელმძღვანელით.

2. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სადისერტაციო საბჭოს წევრი, სადოქტორო პროგრამაში ჩართული პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. დისერტაციის თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს სადისერტაციო საბჭოს სხვა წევრი ან დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც არ არის სადისერტაციო საბჭოს წევრი; ასევე შეიძლება მოწვეულ იქნეს სპეციალისტი კვალიფიკაციის შესაბამისად „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე.

3. სამეცნიერო თანახელმძღვანელ(ებ)ის დანიშვნის აუცილებლობის შემთხვევაში სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი წარმოადგენს წერილობით ინფორმაციას სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სახელზე იმის შესახებ რომ დოქტორანტის თანახელმძღვანელობის კანდიდატ(ებ)ი აკმაყოფილებს სამეცნიერო ხელმძღვანელისადმი წაყენებულ შემდეგ მოთხოვნებს:

ა) მისი კვალიფიკაცია შეესაბამება საკვლევი თემის პრობლემატიკას;

ბ) მოცემულ მომენტში მას ჰყავს არაუმეტეს 4 (აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე) დოქტორანტისა;

გ) თანახმაა გაწიოს სამეცნიერო ხელმძღვანელობა;

4. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს შეუძლია აირჩიოს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი. ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის არჩევა შეუძლია დოქტორანტსაც პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

5. სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და პუბლიკაციები.

6. ერთ სამეცნიერო ხელმძღვანელს ერთდროულად შეუძლია უხელმძღვანელოს არაუმეტეს 5 (აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე) დოქტორანტს.

7. სამეცნიერო ხელმძღვანელი კონტროლს უწევს დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმის შესრულებას (სადისერტაციო ნაშრომის პროექტის შესაბამისად).

8. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დადგენილი წესით, უზრუნველყოფს დოქტორანტებისგან უკუკავშირის მიღებას იმის თაობაზე, თუ რამდენად კმაყოფილი არიან ისინი სამეცნიერო ხელმძღვანელთან მუშაობით.

9. იმ შემთხვევაში, თუ სამეცნიერო ხელმძღვანელი უარს ამბობს ხელმძღვანელობაზე, ამის შესახებ მან სწავლის ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებული განცხადება უნდა წარუდგინოს სადისერტაციო საბჭოს.

10. სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ უნივერსიტეტში დაკავებული აკადემიური თანამდებობის დატოვება არ იწვევს დოქტორანტის ხელმძღვანელობაზე უარის თქმას, თუ თანამდებობის დატოვების შემდეგ სადისერტაციო საბჭო უახლოეს სხდომაზე მიიღებს გადაწყვეტილებას სადისერტაციო საბჭოში მისი მიწვევის შესახებ.

მუხლი 7. დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა

1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს.

2. სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისაგან და სრულდება სადისერტაციო ნაშრომის შესრულებითა და დაცვით.

3. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს.

4. დადგენილ ვადაში (3 წელი) სადისერტაციო ნაშრომის წარუდგენლობის შემთხვევაში, დოქტორანტს უფლება აქვს დაასრულოს სადოქტორო პროგრამა მომდევნო 2 წლის განმავლობაში.

5. დამატებითი წლის/სემესტრის განმავლობაში დოქტორანტს უნარჩუნდება სტუდენტის სტატუსი.

(ცვლილება: რექტორის ბრძანება № 47/01 28.12.2021).

მუხლი 8. დოქტორანტურის კომპონენტები

1. დოქტორანტურა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს. *(ცვლილება: რექტორის ბრძანება № 47/01 28.12.2021).*

2. დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი გულისხმობს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას:

- სასწავლო კომპონენტის შინაარსობრივი სტრუქტურა განისაზღვრება სადოქტორო პროგრამით. სასწავლო კომპონენტების შერჩევა ხდება პროგრამის ფარგლებში მოსამზადებელი დისერტაციის სპეციფიკიდან გამომდინარე. სასწავლო კომპონენტის შემადგენელი ელემენტებიდან უნივერსიტეტის ყველა დოქტორანტისთვის სავალდებულოა:

- სპეციფიკური დარგობრივი კურსები (სპეციალური სემინარები), რომლებიც გულისხმობს პროგრამიდან/მოდულიდან გამომდინარე საგნის გაღრმავებულ შესწავლას;

- ძირითადი მეცნიერული უნარების განმავითარებელი მოდული/კურსი, რომელიც გულისხმობს კვლევის მეთოდოლოგიისა და მეთოდების შესწავლას, სწავლების თანამედროვე მეთოდების კურსის ჩათვლით, რასაც მოსდევს დოქტორანტის ჩართვა სწავლების პროცესში (პროფესორის ხელმძღვანელობით ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება). ამ კომპონენტის დასრულების შემდეგ, დოქტორანტი ფასდება იმ პროფესორის მიერ, რომელიც ხელმძღვანელობას უწევდა წარმოდგენილ კურსს.

3. სადოქტორო პროგრამის ფარგლებში პროფესორის ასისტირება ემსახურება სწავლა-სწავლების და კვლევითი პროცესების ინტეგრირებას, რომლის მიზანია სწავლებისა და კვლევის აკადემიურ პროცესებთან დაკავშირებული პრაქტიკული უნარების განვითარება, რაც ქმნის დოქტორანტის შემდგომი წარმატებული აკადემიური კარიერის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას. ასისტირების ფარგლებში დოქტორანტმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 5 კრედიტი ასისტირებით გათვალისწინებულ აქტივობებში.

4. პროფესორის ასისტირება სწავლების პროცესის ფარგლებში შეიძლება მოიცავდეს:

- სტუდენტების შეფასებაში მონაწილეობას;

- პროფესორის ხელმძღვანელობით კურსის მასალების მომზადებას;

- კურსის კომპონენტის ჩატარება (მაგალითად: სემინარები, პრაქტიკული მეცადინეობა, საველე სამუშაო და ა.შ.);

- საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტების ხელმძღვანელობა.

- სასემინარო კურსის დამოუკიდებლად ჩატარებას.

5. პროფესორის ასისტირება კვლევის პროცესის ფარგლებში შეიძლება მოიცავდეს:

- ხელმძღვანელის კვლევებში ასისტენტირება - ხელმძღვანელის კონკრეტული დავალებების შესრულება

(საჭიროების შემთხვევაში კვლევისთვის რელევანტური ლიტერატურის/წყაროების მოძიება, მონაცემების შეყვანა და სხვა);

- კვლევის ინსტრუმენტის შემუშავება/პილოტირება, მონაცემების შეგროვება-შეყვანა, ანალიზი;
- სპეციალური სტატიის/ლიტერატურის თარგმანის შესრულება (10-15 გვ);

- შესაბამისი მიმართულებით საბაკალავრო და/ან სამაგისტრო ნაშრომების თანახელმძღვანელობა, რეცენზირება (დოქტორანტს უფლება აქვს გასწიოს არაუმეტეს 2 საბაკალავრო და/ან სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელობა და შეასრულოს საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის არაუმეტეს 5 რეცენზირება).

6. ასისტირების ფარგლებში დასაგროვებელი კრედიტების რაოდენობა განისაზღვრება შესრულებულ სამუშაოზე დახარჯული საათების მიხედვით შემდეგი წესით (1 კრედიტი - 25 სთ):

- აკადემიური კურსის ასისტირების შემთხვევაში: ერთი 15-20 დახურულ კითხვიანი ტესტის შეფასება - 15 წუთი; ღია კითხვებიანი ტესტის შეფასება - 30 წუთი; ერთი წერითი დავალების (2-3 ფურცელი) შეფასება (მაგ. პროექტი, ესსე, საველე დღიური/ჩანაწერები, რეფლექსია, ლაბორატოიული სამუშაოს ანგარიში და ა.შ.) შეფასება - 30 წუთი; აკადემიური კურსის მასალის მომზადება (მაგ. სალექციო/სასემინარო მასალა, დავალებები/ტესტები და ა.შ.) - 15 საათი საშუალოდ;

- აკადემიური კურსის კომპონენტის ჩატარება (მაგ. სემინარები, საველე სამუშაო, ლაბორატორიული სამუშაო და ა.შ.) - შესაბამის კომპონენტში კურსით განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა, ამას დამატებული სტუდენტების შეფასებისათვის და მასალის მომზადებისათვის საჭირო საათები/დრო;

- სასემინარო ან სალექციო კურსის დამოუკიდებლად ჩატარების შემთხვევაში დოქტორანტის დატვირთვა განისაზღვრება სასემინარო კურსით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების, მასალის მომზადებისთვის და შეფასებებისთვის საჭირო საათების გათვალისწინებით.

- ერთი საბაკალავრო ან სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელობა - 25 საათი;

- ერთი სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება - 6 საათი.

7. ასისტირების აქტივობის კრიტერიუმები განისაზღვრება ხელმძღვანელის მიერ ასისტირების აქტივობის შესაბამისად. დოქტორანტს ასისტირების კომპონენტში მიენიჭება კრედიტი იმ შემთხვევაში, თუ ის დადებითად არის შეფასებული ამ კომპონენტის ყველა ან უმრავლესობა კრიტერიუმის მიხედვით. კრიტერიუმების არ დაკმაყოფილების ან ნახევარზე ნაკლებ კრიტერიუმებში დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს კრედიტი არ ენიჭება. კრედიტების მინიჭებისას დოქტორანტის ასისტირება ფასდება 100 ქულით. ქულები გადანაწილდება და ისაზღვრება ამგვარად:

- (A) 91-100 ფრიადი;
- (B) 81-90 ძალიან კარგი;
- (C) 71-80 კარგი;
- (D) 61-70 დამაკმაყოფილებელი;
- (E) 51-60 საკმარისი;
- (FX) 41-50 ვერ ჩააბარა,სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება;
- (F) 0-40 ჩაიჭრა, სტუდენტმა კრედიტის მიღებისათვის თავიდან უნდა გაიაროს კურსი.

8. პროფესორის ასისტენტობის შეფასების კრიტერიუმები:

- სემინარის, ლაბორატორიული სამუშაოს ან პრაქტიკულის ჩატარება - 5 ქულა

5 ქულა	დოქტორანტი კარგად არის მომზადებული, ზედმიწევნით კარგად ფლობს სილაბუსით გათვალისწინებულ მასალას. დასმულ შეკითხვებზე პასუხები სრულყოფილი, სწორი და დასაბუთებულია. დოქტორანტს გააზრებული აქვს და კარგად ერკვევა პრობლემურ საკითხში. სწავლების მეთოდებს იყენებს ეფექტურად, მიზნობრივად და კომპლექსურად.
4 ქულა	დოქტორანტი მომზადებულია, კარგად ფლობს სილაბუსით გათვალისწინებულ მასალას. დასმულ შეკითხვებზე პასუხები სწორია, თუმცა შეკვეცილი. მას გააზრებული აქვს და ერკვევა პრობლემურ საკითხში. სწავლების მეთოდებს იყენებს მიზნობრივად და კომპლექსურად.
3 ქულა	დოქტორანტი არ არის კარგად მომზადებული. ფლობს სილაბუსით გათვალისწინებულ

	მასალას, მაგრამ აღინიშნება ნაკლოვანებები. დოქტორანტი მართალია იცნობს პრობლემურსაკითხს, მაგრამ გააზრებული არ აქვს იგი. დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხები არ არის სრულყოფილი. მიზნობრივად იყენებს მხოლოდ სწავლების ცალკეულ მეთოდებს.
2 ქულა	დოქტორანტი ფაქტობრივად მოუმზადებელია. არასაკმარისად აქვს ათვისებული სილაბუსითგათვალისწინებული მასალა. დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხები ბუნდოვანია. დოქტორანტი ვერ ერკვევა პრობლემურ საკითხებში. გამოყენებული სწავლების მეთოდებივერ უზრუნველყოფს კონკრექტული შედეგების მიღებას.
0-1 ქულა	დოქტორანტი სრულიად მოუმზადებელია. ფლობს სილაბუსით გათვალისწინებული მასალისმხოლოდ ცალკეულ ფრაგმენტებს. დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხები არსებითადმცდარია ან პასუხი შეკითხვის შესაბამისი არ არის. სწავლების მეთოდები გამოყენებულიაარაკვალიფიციურად ან აღნიშნული კომპონენტი არ არის შესრულებული საერთოდ.

შენიშვნა: თითოეული 2 საათიანი სემინარის, ლაბორატორიული სამუშაოს ან პრაქტიკულის ჩატარება ფასდება 5 ქულით. დოქტორანტმა 10 ორსაათიანი სემინარის, ლაბორატორიული სამუშაოს ან პრაქტიკულის ჩატარების შემთხვევაში შესაბამისად შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 50 ქულა (10X5).

- შუალედური შეფასებისთვის საკითხების მომზადება - მაქსიმუმ 5 ქულა

5 ქულა	შუალედური შეფასების საკითხები მომზადებულია დარგობრივი ტერმინოლოგიის დაცვით ეფექტურად, მიზნობრივად და კომპლექსურად. დოქტორანტი ზედმიწევნით კარგად ფლობს შეფასებისათვის განკუთვნილ მასალას. შუალედური შეფასების საკითხები უნაკლოდ არის შედგენილი.
4 ქულა	შუალედური შეფასების საკითხები მომზადებულია დარგობრივი ტერმინოლოგიის დაცვით მიზნობრივად და კომპლექსურად. დოქტორანტი კარგად ფლობს შეფასებისათვის განკუთვნილ მასალას. შუალედური შეფასების საკითხები კარგად არის შედგენილი.
3 ქულა	შუალედური შეფასების საკითხები მომზადებულია დარგობრივი ტერმინოლოგიის დაცვით მიზნობრივად, თუმცა შეკვეცილად. დოქტორანტი ფლობს შეფასებისათვის განკუთვნილ მასალას. შუალედური შეფასების საკითხები დამაკმაყოფილებლად არის შედგენილი.
2 ქულა	შუალედური შეფასების საკითხები არასრულია დარგობრივი ტერმინოლოგია ნაკლოვანია. დოქტორანტი ფლობს შეფასებისათვის განკუთვნილ მასალას, თუმცა აღინიშნება ნაკლოვანებები. შუალედური შეფასებისათვის მომზადებული საკითხები ვერ უზრუნველყოფს კონკრექტული შედეგების მიღებას
0-1 ქულა	შუალედური შეფასების საკითხები ნაკლოვანია. დარგობრივი ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული. დოქტორანტი ფლობს შეფასებისათვის განკუთვნილი მასალი მხოლოდ ცალკეულ ფრაგმენტებს. შუალედური შეფასების საკითხები მომზადებულია არაკვალიფიციურად ან აღნიშნული კომპონენტი არ არის შესრულებული საერთოდ.

შენიშვნა: თითოეული შუალედური შეფასებისათვის საკითხების მომზადება ფასდება 5 ქულით. დოქტორანტმა 2 შუალედური შეფასებისათვის საკითხების მომზადების შემთხვევაში შესაბამისად შეიძლება დააგროვოს 10 ქულა (5X2).

- დასკვნითი გამოცდის საკითხების მომზადება - 10 ქულა

9-10 ქულა	დასკვნითი გამოცდის საკითხები მომზადებულია დარგობრივი ტერმინოლოგიის დაცვით ეფექტურად, მიზნობრივად და კომპლექსურად. დოქტორანტი ზედმიწევნით კარგად ფლობს გამოცდისათვის განკუთვნილ მასალას. გამოცდის საკითხები უნაკლოდ არის შედგენილი
7-8 ქულა	საბოლოო გამოცდის საკითხები მომზადებულია დარგობრივი ტერმინოლოგიის დაცვით მიზნობრივად და კომპლექსურად. დოქტორანტი კარგად ფლობს გამოცდისათვის განკუთვნილ მასალას. გამოცდის საკითხები კარგად არის შედგენილი.
5-6 ქულა	საბოლოო გამოცდის საკითხები მომზადებულია დარგობრივი ტერმინოლოგიის დაცვით მიზნობრივად, თუმცა შეკვეცილად. დოქტორანტი ფლობს გამოცდისათვის განკუთვნილ მასალას. გამოცდის საკითხები დამაკმაყოფილებლად არის შედგენილი.
3-4 ქულა	საბოლოო გამოცდის საკითხები არასრულია. გამოყენებული დარგობრივი ტერმინოლოგია ნაკლოვანია. დოქტორანტი ფლობს გამოცდისათვის განკუთვნილ მასალას, თუმცა აღინიშნება ნაკლოვანებები. გამოცდისათვის მომზადებული საკითხები ვერ უზრუნველყოფს კონკრეტული შედეგების მიღებას.
0-2 ქულა	საბოლოო გამოცდის საკითხები ნაკლოვანია. დარგობრივი ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული. დოქტორანტი ფლობს გამოცდისათვის განკუთვნილი მასალის მხოლოდ ცალკეულ ფრაგმენტებს. გამოცდის საკითხები მომზადებულია არაკვალიფიციურად ან აღნიშნული კომპონენტი არ არის შესრულებული საერთოდ.

- სტუდენტთა შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ნაშრომების გასწორება - 10 ქულა

9-10 ქულა	სილაბუსით გათვალისწინებულ შეფასების კრიტერიუმებს იყენებს ზედმიწევნით კარგად, არ დაუშვია არსებითი ხასიათის შეცდომა.
7-8 ქულა	სილაბუსით გათვალისწინებულ შეფასების კრიტერიუმებს იყენებს კარგად, თუმცა დაუშვა არაარსებითი ხასიათის რამდენიმე შეცდომა.
5-6 ქულა	სილაბუსით გათვალისწინებულ შეფასების კრიტერიუმებს იყენებს კარგად, თუმცა დაუშვა არსებითი ხასიათის რამდენიმე შეცდომა.
3-4 ქულა	სილაბუსით გათვალისწინებულ შეფასების კრიტერიუმებს იყენებს დამაკმაყოფილებლად, თუმცა მნიშვნელოვანი ხარვეზებით.
0-2 ქულა	სილაბუსით გათვალისწინებულ შეფასების კრიტერიუმები გამოყენებულია არაკვალიფიციურად, დაშვებულია რამდენიმე არსებითი ხასიათის შეცდომა ან აღნიშნული კომპონენტი არ არის შესრულებული საერთოდ.

შენიშვნა: სტუდენტთა შუალედური შეფასებებისა და საბოლოო გამოცდის ნაშრომების გასწორება ფასდება 10 ქულით. დოქტორანტმა 2 შუალედური შეფასებისა და ერთი საბოლოო გამოცდის ნაშრომების გასწორების შემთხვევაში შესაბამისად შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 30 ქულა (3X10).

- ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის მარტივი სახელმძღვანელოს, დამხმარე ლიტერატურის ან სხვა მასალის მომზადება - 100 ქულა

91-100 ქულა	ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის მომზადებული მასალა ზედმიწევნით კარგად არის შესრულებული.
81-90 ქულა	ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის მომზადებული მასალა ძალიან კარგად არის შესრულებული.
71-80 ქულა	ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის მომზადებული მასალა შესრულებულია კარგად, თუმცა დაშვებულია არაარსებითი ხასიათის რამდენიმე შეცდომა.
61-70 ქულა	ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის მომზადებული მასალა შესრულებულია დამაკმაყოფილებლად, თუმცა ხარვეზებით.
51-60 ქულა	ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის მომზადებული მასალა შესრულებულია ნაწილობრივ, დაშვებულია რამდენიმე არსებითი ხასიათის შეცდომა.
41-50 ქულა	ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის მომზადებული მასალა შესრულებულია არასრულად. დოქტორანტის მიდგომები მცდარია. ვერ გამოამჟღავნა დასახული ამოცანის განსახორციელებლად საჭირო უნარი. დაუშვა რამდენიმე არსებითი შეცდომა
0-40 ქულა	დოქტორანტმა შეასრულა ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის მოსამზადებელი მასალისმხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები და/ან არაადეკვატურად შეასრულა ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის მოსამზადებელი მასალა და/ან ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის მოსამზადებელი მასალა არ შეასრულა საერთოდ.

შენიშვნა: შეფასების აღნიშნული კრიტერიუმი გამოიყენება მხოლოდ იმ დოქტორანტისთვის, რომელთაც საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტში უკავია ასისტენტის აკადემიური თანამდებობა ან მოწვეული სპეციალისტის სტატუსით უძღვება სასწავლო კურსს.

9. დოქტორანტი თვითონ ირჩევს იმ არჩევით სასწავლო კურსებს, რომლებიც მოცემულია სადოქტორო პროგრამაში, რის შედეგადაც უზრუნველყოფილი იქნება სასწავლო და სამეცნიერო პროცესების თანხვედრა, რომელიც უნდა მოიცავდეს დასაბუთებულ თეორიულ ან/და ექსპერიმენტულ შედეგებს.

10. სადოქტორო პროგრამის ფარგლებში საჩვენებელი ლექციის მომზადება-ჩატარების მიზანია აკადემიური განათლებისა და თეორიის დაკავშირება პრაქტიკასთან; პრაქტიკული უნარების განვითარების გზით დოქტორანტის კარიერის შექმნაში ხელის შეწყობა. ამ აქტივობის ფარგლებში დოქტორანტმა უნდა დააგროვოს 5 კრედიტი.

11. საჩვენებელი ლექციის მომზადება-ჩატარების შეფასების კრიტერიუმები:

- ლექციის წინასწარი მომზადების ეტაპი - 40ქულა (ძირითადი ლიტერატურის მოძიება-დამუშავება, დამატებითი მასალის მოძიება - 20ქულა, ლექციის გეგმის შედგენა, კითხვარის და სხვა საჭირო მასალის შედგენა - 20ქულა).

ძირითადი ლიტერატურის მოძიება-დამუშავება, დამატებითი მასალის მოძიება - 20ქულა

19-20 ქულა	მოძიებული მასალის შესაბამისობა ლექციის თემასთან და მისი მრავალფეროვნება, ანალიზის სიღრმე და ხარისხი, ძირითად თემაზე კონცენტრირებულობის ხარისხი, არსებული მასალის სიღრმისეული შესწავლის ხარისხი ეფექტიანად, მიზნობრივად და კომპლექსურადაა წარმოდგენილი.

15-18 ქულა	მოძიებული მასალის შესაბამისობა ლექციის თემასთან და მისი მრავალფეროვნება, ანალიზის სიღრმე და ხარისხი, ძირითად თემაზე კონცენტრირებულობის ხარისხი, არსებული მასალის სიღრმისეული შესწავლის ხარისხი მიზნობრივადაა წარმოდგენილი.
11-14 ქულა	მოძიებული მასალის შესაბამისობა ლექციის თემასთან და მისი მრავალფეროვნება, ანალიზის სიღრმე და ხარისხი, ძირითად თემაზე კონცენტრირებულობის ხარისხი, არსებული მასალის სიღრმისეული შესწავლის დაბალი ხარისხი ნაწილობრივ მიზნობრივადაა წარმოდგენილი.
4-10 ქულა	მოძიებული მასალის ნაწილობრივი შესაბამისობა ლექციის თემასთან და მისი არა მრავალფეროვნება, ანალიზის არასაკმარისი სიღრმე და ხარისხი, ძირითად თემაზე კონცენტრირებულობის დაბალი ხარისხი, არსებული მასალის არასიღრმისეული შესწავლა ნაწილობრივ უზრუნველყოფს კონკრეტული შედეგების მიღებას.
0-3 ქულა	მოძიებული მასალის ნაწილობრივ შესაბამისობა ლექციის თემასთან და მისი არა მრავალფეროვნება, ანალიზის არასაკმარისი სიღრმე და ხარისხი, ძირითად თემაზე კონცენტრირებულობის დაბალი ხარისხი, არსებული მასალის არასიღრმისეული შესწავლა ვერ უზრუნველყოფს კონკრეტული შედეგების მიღებას.

ლექციის გეგმის შედგენა, კითხვარის და სხვა საჭირო მასალის შედგენა - 20ქულა

19-20 ქულა	ლექციის გეგმა, კითხვარი და სხვა საჭირო მასალა ეფექტურად, მიზნობრივად და კომპლექსურადაა შედგენილი. დოქტორანტი ზედმიწევნით კარგად ფლობს საჭირო მასალების მოძიების ხერხებს.
15-18 ქულა	ლექციის გეგმა, კითხვარი და სხვა საჭირო მასალა ეფექტურად, მიზნობრივად და კომპლექსურადაა შედგენილი. დოქტორანტი კარგად ფლობს საჭირო მასალების მოძიების ხერხებს.
11-14 ქულა	ლექციის გეგმა, კითხვარი და სხვა საჭირო მასალა ეფექტურად, მიზნობრივად და კომპლექსურადაა შედგენილი, თუმცა შეკვეცილად. დოქტორანტი ფლობს საჭირო მასალების მოძიების ხერხებს.
4-10 ქულა	ლექციის გეგმა, კითხვარი და სხვა საჭირო მასალა არასრულია. დოქტორანტი ფლობს საჭირო მასალების მოძიების ხერხებს. თუმცა აღინიშნება ნაკლოვანებები. მომზადებული მასალა ნაწილობრივ უზრუნველყოფს კონკრექტული შედეგების მიღებას.
0-3 ქულა	ლექციის გეგმა, კითხვარი და სხვა საჭირო მასალა ნაკლოვანია. დოქტორანტი ვერ ფლობს საჭირო მასალების მოძიების ხერხებს. სამუშაო შესრულებულია არაკვალიფიციურად ან აღნიშნული კომპონენტი არ არის შესრულებული საერთოდ.

- ლექციის პრეზენტაბელურობა - 60 ქულა.

ლექციის შინაარსობრივი სიღრმე - 20 ქულა

19-20 ქულა	ლექციაზე განხილული თემის აქტუალურობა, მისი აქტუალურობის სათანადო დასაბუთებულობა, დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი, თემაზე

	კონცენტრირებულობის ხარისხი, მკაფიოდ და ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული.
15-18 ქულა	ლექციაზე განხილული თემის აქტუალურობა, მისი აქტუალურობის სათანადო დასაბუთებულობა, დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი, თემაზე კონცენტრირებულობის ხარისხი, მკაფიოდ და ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული, მაგრამ აკლია სიცხადე.
11-14 ქულა	ლექციაზე განხილული თემის აქტუალურობა, მისი აქტუალურობის სათანადო დასაბუთებულობა, დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი, თემაზე კონცენტრირებულობის ხარისხი, ლოგიკურადაა ფორმულირებული, მაგრამ ბოლომდე არ არის გათვალისწინებული კონტექსტუალური ფაქტორები.
4-10 ქულა	ლექციაზე განხილული თემის აქტუალურობა, მისი აქტუალურობის სათანადო დასაბუთებულობა ზედაპირულად და არაარგუმენტირებულადაა ჩამოყალიბებული. ნაკლებად იკვეთება დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი და თემაზე კონცენტრირებულობის ხარისხი.
0-3 ქულა	ლექციაზე განხილული თემის აქტუალურობა, მისი აქტუალურობის სათანადო დასაბუთებულობა არაარგუმენტირებულადაა ჩამოყალიბებული. არ იკვეთებადამოუკიდებელი მსჯელობის უნარი და თემაზე კონცენტრირებულობის ხარისხი.

მასალის სრულყოფილად წარმოდგენა - 20 ქულა

19-20 ქულა	მოძიებული მასალის შესაბამისობა ლექციის თემასთან, გამოყენებული ლიტერატურის მრავალფეროვნება, ლექციის თემატიკის ირგვლივ შესაბამისი კვლევების წარმოდგენისა და გააზრების, ასევე თემატიკის შესაბამისი უახლესი კვლევების გამოყენების უნარი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, სიღრმისეულად გაანალიზებული და შეფასებული.
15-18 ქულა	მოძიებული მასალის შესაბამისობა ლექციის თემასთან, გამოყენებული ლიტერატურის მრავალფეროვნება, ლექციის თემატიკის ირგვლივ შესაბამისი კვლევების წარმოდგენისა და გააზრების, ასევე თემატიკის შესაბამისი უახლესი კვლევების გამოყენების უნარი არის ჩამოყალიბებული, გაანალიზებული და შეფასებული.
11-14 ქულა	მოძიებული მასალის შესაბამისობა ლექციის თემასთან, გამოყენებული ლიტერატურის მრავალფეროვნება, ლექციის თემატიკის ირგვლივ შესაბამისი კვლევების წარმოდგენისა და გააზრების, ასევე თემატიკის შესაბამისი უახლესი კვლევების გამოყენების უნარი ნაწილობრივ არის ჩამოყალიბებული, ნაწილობრივაა გაანალიზებული და შეფასებული.
4-10 ქულა	მოძიებული მასალის შესაბამისობა ლექციის თემასთან, გამოყენებული ლიტერატურის მრავალფეროვნება, ლექციის თემატიკის ირგვლივ შესაბამისი კვლევების წარმოდგენისა და გააზრების, ასევე თემატიკის შესაბამისი უახლესი კვლევების გამოყენების უნარი ზედაპირულად არის ჩამოყალიბებული, ზერელედ არის გაანალიზებული და შეფასებული.
0-3 ქულა	სახეზეა მოძიებული მასალის ნაკლებად შესაბამისობა ლექციის თემასთან, გამოყენებული ლიტერატურა მწირია, ლექციის თემატიკის ირგვლივ შესაბამისი კვლევების წარმოდგენისა და გააზრების, ასევე თემატიკის შესაბამისი უახლესი კვლევების გამოყენების უნარი არაკვალიფიციურად არის ჩამოყალიბებული ან საერთოდ არ არის არის ჩამოყალიბებული, არ არის გაანალიზებული და შეფასებული.

19-20 ქულა	სალექციო მასალა ლოგიკურად, არგუმენტირებულად, ლაკონურად და გამართულადაა მოწოდებული, მასალის ვიზუალურ მხარე წარმოჩინებულია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით; მეტყველების ლოგიკურობა, დამაჯერებლობა, დროის მართვა, კითხვებზე პასუხების დასაბუთებულად გაცემის უნარი, დისკუსიის აკადემიურად წარმართვის უნარი, პრეზენტაციისა და ვიზუალური მასალის ლექციის თემასთან შესაბამისობა, აქცენტების ლოგიკურობა და გამართულობა საფუძვლიანად ცოდნის დემონსტრირებითაა წარმოჩენილი.
15-18 ქულა	სალექციო მასალა ლოგიკურად, არგუმენტირებულად, ლაკონურად და გამართულადაა მოწოდებული, მასალის ვიზუალურ მხარე წარმოჩინებულია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით; მეტყველების ლოგიკურობა, დამაჯერებლობა, დროის მართვა, კითხვებზე პასუხების დასაბუთებულად გაცემის უნარი, დისკუსიის აკადემიურად წარმართვის უნარი, პრეზენტაციისა და ვიზუალური მასალის ლექციის თემასთან შესაბამისობა, აქცენტების ლოგიკურობა და გამართულობა საფუძვლიანად ცოდნის დემონსტრირებითაა წარმოჩენილი, თუმცა აკლია დამაჯერებლობა.
11-14 ქულა	სალექციო მასალა ნაკლებ ლოგიკურად, ნაკლებ არგუმენტირებულად და ნაკლებ გამართულადაა მოწოდებული, მასალის ვიზუალურ მხარე წარმოჩინებულია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით; მეტყველების ლოგიკურობა, დროის მართვა, კითხვებზე პასუხების დასაბუთებულად გაცემის უნარი, დისკუსიის აკადემიურად წარმართვის უნარი, პრეზენტაციისა და ვიზუალური მასალის ლექციის თემასთან შესაბამისობა, აქცენტების ლოგიკურობა და გამართულობა ნაწილობრივი ცოდნის დემონსტრირებითაა წარმოჩენილი, არაა სრული და დამაჯერებელი.
4-10 ქულა	სალექციო მასალა ნაკლებ ლოგიკურად,ნაკლებ არგუმენტირებულად და ნაწილობრივ გამართულადაა მოწოდებული, მასალის ვიზუალურ მხარე წარმოჩინებულია თანამედროვე ტექნოლოგიების ნაკლებად გამოყენებით; მეტყველება ნაკლებად ლოგიკურია, სახეზეა დროის მართვის, კითხვებზე პასუხების დასაბუთებულად გაცემის უნარის, პრეზენტაციისა და ვიზუალური მასალის ლექციის თემასთან შესაბამისობის დეფიციტი. მსჯელობა ნაკლოვანი და ფრაგმენტულია, ვერ ასახავს წარმოდგენილი თემის შინაარსს.

12. დოქტორანტურის კვლევითი კომპონენტი მოიცავს:

- დისერტაციის ანუ სამეცნიერო ნაშრომის შესრულებას, ასევე სამეცნიერო სტატიების პუბლიკაციას, რომელიც უნდა ასახავდეს თეორიულ ან/და ემპირიული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს.
- დოქტორანტის კოლოკვიუმს;
- დისერტაციის დაცვას, ანუ, თემის საჯარო პრეზენტაციას.

მუხლი 9. დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი პროექტი

1. დოქტორანტის ინდივიდუალურ კვლევით პროექტს წერს დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან შეთანხმებით. პროექტში მითითებული უნდა იქნეს კვლევის მიზანი, აქტუალობა, თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა, სამეცნიერო სიახლე,

კვლევის მეთოდი, სადისერტაციო თემის მოკლე აღწერა, კვლევის ჩატარების სავარაუდო გრაფიკი, ბიბლიოგრაფია.

2. დოქტორანტი ფაკულტეტის საბჭოს წინაშე (კოლოკვიუმზე), ინდივიდუალურ კვლევით პროექტს წარმოადგენს პირველი სასწავლო წლის ბოლოს.

3. კვლევითი პროექტის სტრუქტურა განსაზღვრულია წინამდებარე დებულებით.

4. სადისერტაციო კვლევის პროექტი წარმოადგენს მიმოხილვითი კვლევისა და ანალიზის შედეგს, სადისერტაციო ნაშრომის წინასწარ მონახაზს, რომელიც დოქტორანტმა უნდა დაასრულოს სწავლის დაწყებიდან ერთი წლის ვადაში.

5. სადისერტაციო კვლევის პროექტზე მუშაობა მიმდინარეობს დოქტორანტის ხელმძღვანელთან კონსულტაციების (მათ შორის ,,ონლაინ“ რეჟიმში).

6. სადისერტაციო კვლევის პროექტის მოცულობა უნდა იყოს, არანაკლებ 15-20 გვერდისა დანართების გარეშე. ყველა გვერდი უნდა დაინომროს თანმიმდევრობით, დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. ტექსტი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297-210 მმ) 80 გ/მ2 სიმკვრივის ქაღალდზე, შრიფტი - Sylfaen, ზომა 12. გვერდის ნომრებისა და სქოლიოს შრიფტის მინიმალური ზომაა - 10. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება გამოყენებული იქნას უფრო დიდი ზომის შრიფტი. ნაშრომის ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი არის 1.5. ტექსტი უნდა დაიბეჭდოს მხოლოდ ერთ გვერდზე. გვერდის მარცხენა მხარეს უნდა დარჩეს 30 მმ მინდორი, ხოლო დანარჩენ მხარეებზე – 20 მმ. ტექსტი უნდა დაიბეჭდოს ლაზერულ პრინტერზე ან მასთან მიახლოებული ხარისხით.

7. სადისერტაციო კვლევის პროექტის სტრუქტურა:

ა) შესავალი (ზოგადი დახასიათება, სამეცნიერო სიახლე, აქტუალობა, მიზნები და პრაქტიკული მნიშვნელობა);

ბ) სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა (საკითხის კვლევის ისტორია, საკვლევი საკითხის მდგომარეობა თანამედროვე მეცნიერებაში, რატომ არის ეს საკითხი აქტუალური, რა ეტაპზეა დოქტორანტი შერჩეული წყაროების კვლევის თვალსაზრისით);

გ) კვლევის მეთოდოლოგია (დოქტორანტის მიერ შერჩეული თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები);

დ) ძირითადი საკვლევი საკითხები (რა პრობლემების გადაჭრას ისახავს დოქტორატი მიზნად);

ე) კვლევის მოსალოდნელ შედეგებს (რა შეიძლება იყოს კვლევის მოსალოდნელი შედეგები? რამდენად შეაქვს დოქტორანტს წვლილი დარგის განვითარებაში);

ვ) დისერტაციის შესრულების სავარაუდო გრაფიკი (კვლევის გეგმას);

ზ) დისერტაციის სავარაუდო სტრუქტურა;

თ) ბიბლიოგრაფია (პირველწყაროები, სამეცნიერო ლიტერატურა).

8) ავტორეფერატის სტრუქტურა და გაფორმება:

ა) ავტორეფერატი არის დისერტაციის ძირითადი დებულებების ამსახველი მოკლე ვერსია. ის ბარდება დისერტაცასთან ერთად ქართულ და ერთ-ერთუცხო (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული) ენაზე. ავტორეფერატის ბეჭდური და ელექტრონული ვერსიის თითო ეგზემპლარი ბარდება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, თითო - საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

ბ) ავტორეფერატის ქართული ვარიანტის მოცულობა უნდა იყოს 35-50 ათასინიშნის ფარგლებში (A4 ფორმატის 20-25 გვერდი).

გ) ავტორეფერატის ტექნიკური მონაცემებზე ვრცელდება შემდეგი მოთხოვნები:

- ენა: წერითი ნაშრომები შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე, ორთოგრაფიული, სტილისტური და გრამატიკული შეცდომების გარეშე. დადგენილი წესით შესაძლებელია ავტორეფერატის შესრულება სხვა ენაზეც;

- ქაღალდი: ნაშრომი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის თეთრ ქაღალდზე, ორიენტაცია-ვერტიკალური. ბეჭვდა წარმოებს ერთ გვერდზე. ნახაზები, ცხრილები, ფოტოსურათები შესაძლებელია შესრულებულ იქნას ნებისმიერი სხვა ზომის ფორმატზე, მხოლოდ ამ შემთხვევაში, აღნიშნული გვერდები არ უნდა აიკინძოს ძირითად ტექსტთან ერთად;

- მინდორი: არე მარცხნიდან 2,5 სმ, მარჯვნიდან - 1,5 სმ და არე ზემოდან და ქვემოდან არანაკლებ 2 და არაუმეტეს 3 სანტიმეტრისა;

- შრიფტი: შესაძლებელია, როგორც შრიფტით „Sylfaen“, შრიფტის ზომა - 11, ასევე, შრიფტით „AcadNusx“, შრიფტის ზომა - 12. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში გამოყენებული იქნას უფრო დიდი შრიფტი, ზომით - 14 ან 16;

- სტრიქონებს შორის მანძილი: ძირითადი ტექსტისათვის ინტერვალი არის 1,5. მცირე ზომის სექციებისთვის (შინაარსი, ცხრილებისა და ნახაზების ნუსხა, რეზიუმე, სქოლიო, შენიშვნა, და სხვა) აიღება ინტერვალი 1;

- გვერდების ნუმერაცია: ყველა გვერდი დანომრილი უნდა იქნას თანმიმდევრობით. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება და ასევე გვერდების განმეორება. შესავალი გვერდები ტექსტის ძირითად ნაწილთან ერთად, გარდა სატიტულო გვერდისა, ინომრება თაბახის მარჯვენა ქვედა კუთხეში შრიფტის ზომით - 10;

- თავებისა და ქვეთავების დასახელებები: ყველა თავისა და ქვეთავის დასახელება უნდა იქნას ჩართული სარჩევში. ყველა თავი უნდა იწყებოდეს ახალი გვერდიდან, ხოლო ქვეთავი შეიძლება გაგრძელდეს იმავე გვერდიდან;

- სქოლიო: სქოლიო უნდა განთავსდეს გვერდის ან ნაშრომის ბოლოს.შრიფტის ზომა - 10. სქოლიოს განთავსებისას ნუმერაცია წარმოებს სიმბოლოებით ან არაბული ციფრებით, რომელიც შესაძლებელია დაიწყოს ყოველ გვერდზე თავიდან;

- გამოყენებული წყაროები: გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა უნდა განთავსდეს ნაშრომის ბოლოს ანბანის მიხედვით (ჯერ ქართულ, შემდგომ კი შესაბამის უცხო ენაზე). ნაშრომს, ასევე, შეიძლება ჰქონდეს სახელთა საძიებელი, რომელიც უნდა განთავსდეს ნაშრომის ბოლოს – ძირითად ტექსტში მითითებული თანმიმდევრობისა და/ან ანბანის მიხედვით. ლიტერატურული წყაროს მითითებისას დაცული უნდა იქნას შემდეგი სტილი:

სტატია: გვარი, ინიციალი/სრული სათაური. ჟურნალის სრული დასახელება ან აბრევიატურა, წელი, ტომი, ნომერი, გვ. დასაწყისი - დასასრული. მაგ.: დიდებულიძე მ., ახალი მონაცემები ყინწვისის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის XIII საუკუნის მოხატულობის შესახებ, ჟურ ,,საქართველოს სიძველენი , 2002, #1, გვ. 85-100;

სამეცნიერო კრებული: კონკრეტული ავტორის (ან ავტორთა კოლექტივის) გვარი, ინიციალი/სტატიის სრული სათაური. კრებული (კრებ.), კრებულის სრული დასახელება ან აბრევიატურა. წელი, გამომცემლობა, ტომი, ნომერი, გვ. დასაწყისი - დასასრული. მაგ.: .სხირტლაძე ზ., საქართველოში ანიკონურ მოხატულობათა არსებობის პრობლემისათვის, თსუ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის სამეცნიერო შრომების კრებული, #6, თბ.,2005, გვ.198-246;

წიგნის ცალკეული გვერდების მითითებისას: გვარი, ინიციალი/სრული სათაური, გამომცემლობა, წელი, (ტომი), გვ. დასაწყისი - დასასრული. მაგ.: ვირსალაძე თ. ატენის სიონის მოხატულობა, თბ., 1984. გვ 24-30;

მთლიანი წიგნის მითითებისას: გვარი, ინიციალი/სრული სათაური, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი, (ტომი), გვ. მაგ.: ვირსალაძე თ. ატენის სიონის მოხატულობა, თბ., 1984;

ინფორმაცია გლობალური ქსელი: ავტორი და სტატიის სათაური (არსებობის შემთხვევაში), ვებგვერდის დასახელება. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – რიცხვი, თვე, წელი. მაგ.: Shalley E. Taylor; Letitia Anne Peplau; David O. Sears “Social Psychology” https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_psychology/Social_Psychology_12761.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 00.00.2017.

დ) ავტორეფერატის ბეჭდური ვარიანტი წარმოდგენილი უნდა იყოს A5 ფორმატში, აკინძული;

ე) ავტორეფერატის სტრუქტურა:

- სატიტულო გვერდი (გარე ყდა): უნდა იყოს სტანდარტული ფორმისდაუნდამოიცავდეს:

უნივერსიტეტის სრულ სახელწოდებას და ლოგოს;

ფაკულტეტის და პროგრამის დასახლებას;

დოქტორანტის გვარს და სახელს;

სადისერტაციო ნაშრომის დასახელებას;

სადისერტაციო ნაშრომის ფორმატს („წარმოდგენილია (დარგის სახელწოდება) დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად”);

დაცვის თარიღს (დღე, თვე, წელი);

შესრულების ადგილს (თბილისი, საქართველო).

აღნიშნული გვერდის ნომერია არის - 1, მაგრამ იგი არ მიეთითება.

- ხელმოწერის გვერდი: უნდა იყოს სტანდარტული ფორმისდა უნდა ჰქონდეს:

უნივერსიტეტის სრული სახელწოდება;

ფაკულტეტისა და სადოქტორო პროგრამის დასახელება;

ავტორის ხელმოწერა და მისი საიდენტიფიკაციო ნომერი;

დისერტაციის ხელმძღვანელის სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი, თანამდებობა - დამოწმებული ხელმოწერით;

დისერტაციის ექსპერტის/ექსპრტების სახელები, გვარები, აკადემიური ხარისხი, თანამდებობა - დამოწმებული ხელმოწერით;

დისერტაციის რეცენზენტების სახელები, გვარები, აკადემიური ხარისხი, თანამდებობა - დამოწმებული ხელმოწერით;

დისერტაციის ექსპერტის/ექსპერტების სახელები, გვარები, აკადემიური ხარისხი, თანამდებობა - დამოწმებული ხელმოწერით;

დისერტაციის რეცენზენტების სახელები, გვარები, აკადემიური ხარისხი, თანამდებობა - დამოწმებული ხელმოწერით.

- საკვლევი თემის მიზანი;

- საკვლევი თემის აქტუალობა;

- საკვლევი თემის მეთოდოლოგია;

- საკვლევი თემის შედეგები და მეცნიერული სიახლე;

- საკვლევი თემის პრაქტიკული ღიღებულება;

- ლიტერატურის მიმოხილვა;

- ნაშრომის სტრუქტურა (თავებისა და ქვეთავების მიხედვით);

- დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული ნაშრომების ნუსხა: ავტორეფერატს უნდა დაერთოს დისერტაციის ავტორის მიერ დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული ნაშრომების ნუსხა;

- ილუსტრაციები (საჭიროების შემთხევაში, შეიძლება დაერთოს ძირითადი ნახაზები, ცხრილები და ილუსტრაციები). ბიბლიოგრაფია ავტორეფერატს არ ერთვის.

9. სადოქტორო დისერტაციის გაფორმების წესი: სადოქტორო დისერტაციის მოცულობა უნდა იყოს: ყველა მიმართულების სპეციალობებისთვის – არანაკლებ 160 და არაუმეტეს 200 გვერდისა; რაოდენობაში იგულისხმება ყველა აკინძული გვერდი. სადოქტორო დისერტაციის გაფორმების სხვა ტექნიკურ მხარეზე ვრცელდება შემდეგი მოთხოვნები:

- ენა: წერითი ნაშრომები შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე, ორთოგრაფიული, სტილისტური და გრამატიკული შეცდომების გარეშე. დადგენილი წესით შესაძლებელია ავტორეფერატის შესრულება სხვა ენაზეც;

- ქაღალდი: ნაშრომი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის თეთრ ქაღალდზე, ორიენტაცია-ვერტიკალური. ბეჭვდა წარმოებს ერთ გვერდზე. ნახაზები, ცხრილები, ფოტოსურათები შესაძლებელია შესრულებულ იქნას ნებისმიერი სხვა ზომის ფორმატზე, მხოლოდ ამ შემთხვევაში, აღნიშნული გვერდები არ უნდა აიკინძოს ძირითად ტექსტთან ერთად;

- მინდორი: არე მარცხნიდან 2,5 სმ, მარჯვნიდან - 1,5 სმ და არე ზემოდან და ქვემოდან არანაკლებ 2 და არაუმეტეს 3 სანტიმეტრისა;

- შრიფტი: შესაძლებელია, როგორც შრიფტით „Sylfaen“, შრიფტის ზომა - 11, ასევე, შრიფტით „AcadNusx“, შრიფტის ზომა - 12. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში გამოყენებული იქნას უფრო დიდი შრიფტი, ზომით - 14 ან 16;

- სტრიქონებს შორის მანძილი: ძირითადი ტექსტისათვის ინტერვალი არის 1,5. მცირე ზომის სექციებისთვის (შინაარსი, ცხრილებისა და ნახაზების ნუსხა, რეზიუმე, სქოლიო, შენიშვნა, და სხვა) აიღება ინტერვალი 1;

- გვერდების ნუმერაცია: ყველა გვერდი დანომრილი უნდა იქნას თანმიმდევრობით. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება და ასევე გვერდების განმეორება. შესავალი გვერდები ტექსტის ძირითად ნაწილთან ერთად, გარდა სატიტულო გვერდისა, ინომრება თაბახის მარჯვენა ქვედა კუთხეში შრიფტის ზომით - 10;

- თავებისა და ქვეთავების დასახელებები: ყველა თავისა და ქვეთავის დასახელება უნდა იქნას ჩართული სარჩევში. ყველა თავი უნდა იწყებოდეს ახალი გვერდიდან, ხოლო ქვეთავი შეიძლება გაგრძელდეს იმავე გვერდიდან;

- სქოლიო: სქოლიო უნდა განთავსდეს გვერდის ან ნაშრომის ბოლოს.შრიფტის ზომა - 10. სქოლიოს განთავსებისას ნუმერაცია წარმოებს სიმბოლოებით ან არაბული ციფრებით, რომელიც შესაძლებელია დაიწყოს ყოველ გვერდზე თავიდან;

- გამოყენებული წყაროები: გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა უნდა განთავსდეს ნაშრომის ბოლოს ანბანის მიხედვით (ჯერ ქართულ, შემდგომ კი შესაბამის უცხო ენაზე). ნაშრომს, ასევე, შეიძლება ჰქონდეს სახელთა საძიებელი, რომელიც უნდა განთავსდეს ნაშრომის ბოლოს – ძირითად ტექსტში მითითებული თანმიმდევრობისა და/ან ანბანის მიხედვით. ლიტერატურული წყაროს მითითებისას დაცული უნდა იქნას შემდეგი სტილი:

სტატია: გვარი, ინიციალი/სრული სათაური. ჟურნალის სრული დასახელება ან აბრევიატურა, წელი, ტომი, ნომერი, გვ. დასაწყისი - დასასრული. მაგ.: დიდებულიძე მ., ახალი მონაცემები ყინწვისის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის XIII საუკუნის მოხატულობის შესახებ, ჟურ ,,საქართველოს სიძველენი , 2002, #1, გვ. 85-100;

სამეცნიერო კრებული: კონკრეტული ავტორის (ან ავტორთა კოლექტივის) გვარი, ინიციალი/სტატიის სრული სათაური. კრებული (კრებ.), კრებულის სრული დასახელება ან აბრევიატურა. წელი, გამომცემლობა, ტომი, ნომერი, გვ. დასაწყისი - დასასრული. მაგ.: .სხირტლაძე ზ., საქართველოში ანიკონურ მოხატულობათა არსებობის პრობლემისათვის, თსუ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის სამეცნიერო შრომების კრებული, #6, თბ.,2005, გვ.198-246;

წიგნის ცალკეული გვერდების მითითებისას: გვარი, ინიციალი/სრული სათაური, გამომცემლობა, წელი, (ტომი), გვ. დასაწყისი - დასასრული. მაგ.: ვირსალაძე თ. ატენის სიონის მოხატულობა, თბ., 1984. გვ 24-30;

მთლიანი წიგნის მითითებისას: გვარი, ინიციალი/სრული სათაური, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი, (ტომი), გვ. მაგ.: ვირსალაძე თ. ატენის სიონის მოხატულობა, თბ., 1984;

ინფორმაცია გლობალური ქსელი: ავტორი და სტატიის სათაური (არსებობის შემთხვევაში), ვებგვერდის დასახელება. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – რიცხვი, თვე, წელი. მაგ.: Shalley E. Taylor; Letitia Anne Peplau; David O. Sears “Social Psychology” https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_psychology/Social_Psychology_12761.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 00.00.2017.

10. სადოქტორო დისერტაციის სტრუქტურა:

- სატიტულო გვერდი (გარე ყდა): უნდა იყოს სტანდარტული ფორმის და უნდა მოიცავდეს:

უნივერსიტეტის სრულ სახელწოდებას და ლოგოს;

ფაკულტეტის და სადოქტორო პროგრამის დასახელებას;

დოქტორანტის გვარს და სახელს;

სადისერტაციო ნაშრომის დასახელებას;

სადისერტაციო ნაშრომის ფორმატს („წარმოდგენილია (დარგის დასახელება) დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად”);

შესრულების ადგილს (თბილისი, საქართველო).

აღნიშნული გვერდის ნომერია არის - 1, მაგრამ იგი არ მიეთითება.

- ხელმოწერის გვერდი: უნდა იყოს სტანდარტული ფორმის და უნდა ჰქონდეს:

უნივერსიტეტის სრულ სახელწოდება;

ავტორის ხელმოწერა დ ა მისი საიდენტიფიკაციო ნომერი;

ფაკულტეტის და სადოქტორო პროგრამის დასახელება;

ტექსტი: „ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით (ავტორის გვარი, სახელი) მიერ შესრულებულ ნაშრომს დასახელებით: (დასახელება) და ვაძლევთ რეკომენდაციას ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად”;

დისერტაციის ხელმძღვანელის სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი, თანამდებობა - დამოწმებული ხელმოწერით;

დისერტაციის რეცენზენტების სახელები, გვარები, აკადემიური ხარისხი, თანამდებობა - დამოწმებული ხელმოწერით;

დისერტაციის ექსპერტის/ექსპრტების სახელები, გვარები, აკადემიური ხარისხი, თანამდებობა - დამოწმებული ხელმოწერით;

დაცვის თარიღს (დღე, თვე, წელი).

- საავტორო უფლების გვერდი: უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. დისერტაციის ორიგინალს უნდა ჰქონდეს ავტორის ორიგინალური ხელმოწერა. აღნიშნული გვერდი განკუთვნილია იმისათვის, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას მიანიჭოს სადოქტორო ნაშრომის განკარგვის (არაკომერციული მიზნებით გავრცელების, რეფერირების და სხვა) უფლება. აღნიშნული გვერდი უნდა მოიცავდეს სტანდარტულ ტექსტებს: “ფიზიკური პირებისან სხვა დაწესებულებების მიერ შესაბამისი დასახელების ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტს“ და „ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული ნაწილის გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე. ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ სპეციფიურ მიდგომას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.“ იგი დამოწმებული უნდა იქნას ავტორის ხელმოწერით.

რეზიუმე (ქართულ ენაზე და ერთ-ერთ უცხო ენაზე);

სარჩევი / შინაარსი;

შესავალი: შესავალ ნაწილში აღწერილი უნდა იქნას დისერტაციაში დასმული პრობლების მეცნიერული სიახლე, აქტუალობა და პრაქტიკული მნიშვნელობა. მასში მოკლედ და ლაკონურად უნდა იქნას დასმული ის პრობლემა, რომლის გადაწყვეტისათვისაც არის მიძღვნილი სადისერტაციო ნაშრომი.

კველვის მეთოდები: აქ განხილული უნდა იქნას რამეთოდებს მიმართავს დისერტანტი კვლევის პროცესში დასმული საკითხის გადასაჭრელად, რა ალტერნატიული მეთოდებია უკვე შემუშავებული მსგავსი საკითხების კვლევისთვის, რას იყენებს ან/და რა ნაკლოვანებები აქვს ცნობილ მეთოდებს (არსებობის შემთხვევაში).

საკითხის შესწავლის არსებული მდგომარეობა და ლიტერატურის მიმოხილვა: განხილული უნდა იქნას დისერტაციაში დასმული პრობლემის ირგვლივ არსებული ემპირიული ბაზა. რა მდგომარეობაა საკითხის შესწავლასთან დაკავშირებით და რა ნაკლოვანებებია აღმოფხვრილი წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში.

ძირითადი ტექსტი: ძირითადი ტექსტი უნდა დაიყოს თავებად და სხვადასხვა დონის ქვეთავებად. იგი აუცილებლად უნდა შეიცავდეს საკითხის აღწერას-ანალიზს, მსჯელობას, განსჯას, ავტორის მიერ მიღებულ შედეგებს. ამ ნაწილის სტრუქტურა დამოკიდებულია სადისერტაციო თემატიკაზე დაავტორს აქვს უფლება იგი წარმოადგინოს მისთვის სასურველი ფორმით. იგი არ არის შეზღუდული თავების და ქვეთავების რაოდენობით. თუ შედეგების განსჯა დაყოფილია რამდენიმე ქვეთავად, მაშინ დასაშვებია ლიტერატურის მიმოხილვისა და შედეგების განსჯის ერთმანეთთან შეჯერება.

დასკვნა: სადისერტაციო ნაშრომში აუცილებლად უნდა შეიცავდეს კვლევის შედეგად მიღებულ დასკვნებს, რომელიც ჩამოყალიბებული უნდა იქნას მოკლედ და ლაკონურად.

ბიბლიოგრაფია/გამოყენებული ლიტერატურა: დაწყობილი ანბანური წესით (ჯერ ქართულენოვანი ლიტერატურა, შემდეგ უცხოენოვანი ლიტერატურა, შემდეგ ვებგვერდები).

ცხრილების ნუსხა (საჭიროების შემთხვევაში):

გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა (საჭიროების შემთხვევაში): დისერტაციაში გამოყენებულ ისეთი აბრევიატურებისათვის, რომელიც არ არის საყოველთაოდ მიღებული, სასურველია ავტორის მიერ მოცემული იქნას მათი ჩამონათვალი და ახსნა, რაც ნაშრომს ადვილად აღსაქმელს გახდის.

ანბანური საძიებელი (საჭიროების შემთხვევაში): ავტორის სურვილის მიხედვით შესაძლებელია ანბანური საძიებლის დართვა.

ფოტო-ილუსტრაციები, ნახაზები და ცხრილები (საჭიროების შემთხვევაში):

ილუსტრაციების, ნახაზებისა და ცხრილების შემცველობა, ადგილმდებარეობა დაფორმატირება განპირობებულია ნაშრომის სპეციფიკით. ლიტერატურული ან სხვაწყაროებიდან აღებული ფოტოების, ნახაზებისა და ცხრილების გამოყენებისას არ უნდა იქნას დარღვეული საავტორო უფლებები. ნახაზები და ცხრილები აიგება შავ-თეთრად, ასევედასაშვებია ფერადი ილუსტრაციების გამოყენება.

ადგილმდებარეობა: ილუსტრაციები, ნახაზები, ცხრილები და მათი დასახელებები შეიძლება განთავსდეს ცალკეულ ინდივიდუალურ გვერდზე დანართის სახით. ფოტო ილუსტრაციების, ნახაზების, ცხრილების განთავსებისას, საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია ფურცლის ჰორიზონტალური ორიენტაცია. ჰორიზონტალური გვერდების მინდორი და გვერდის ნუმერაცია უნდა იყოს ვერტიკალური გვერდების ანალოგიური. დანართში არსებული ნახაზებისა და ცხრილების ნუმერაცია იწყება თავიდან.

დანართი (საჭიროების შემთხვევაში): დანართში შეიძლება განთავსდეს მონაცემთა ცხრილები, ნახაზები, გაანგარიშებები, ანალიტიკური პროცედურები, დიაგრამები, სქემები და სხვა. დისერატაციაში საავტორო უფლებებით დაცული მასალების გამოყენების შემთხვევაში, დანართებში ცალკეული გვერდ(ებ)ის სახით უნდა დაემატოს საავტორო უფლებაზე ნებართვის წერილ(ებ)ი.

მუხლი 10. დოქტორანტის კოლოკვიუმი

1. კოლოკვიუმი არის დოქტორანტურაში სწავლის სავალდებულო ნაწილი, რომელიც აუცილებალია კვლევითი კომპონენტის კრედიტების მოპოვებისათვის. კოლოკვიუმი არის სამეცნიერო კვლევის შედეგების პრეზენტაცია ფაკულტეტის საბჭოზე, რომელზეც იმართება დისკუსია, დოქტორანტის საქმიანობის სფეროში ახალი სამეცნიერო მიღწევების, პრობლემების, ლიტერატურის შეფასება-განხილვა, რასაც მოჰყვება

სამეცნიერო დისკუსია. კოლოკვიუმის ჩატარება აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერს ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე.

2. დოქტორანტი მოვალეა წელიწადში მინიმუმ ერთხელ მაინც წარდგეს კოლოკვიუმზე მოხსენებით.

3. კოლოკვიუმის გრაფიკი (ცხრილი) განისაზღვრება სემესტრის დასაწყისში, ფაკულტეტ(ებ) ის დეკანის მიერ, პროგრამის ხელმძღვანელთან და დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

4. კოლოკვიუმზე გამოსვლა სავალდებულოა კვლევით კომპონენტში კრედიტის მისაღებად.

მუხლი 11. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭო

1. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო.

2. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შედის ფაკულტეტების დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ყველა პროფესორი და ასოცირებული პროფესორი.

3. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირები, დადგენილი წესით.

მუხლი 12. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს მუშაობის წესი

1. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს ამ დებულების შესაბამისად.

2. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს საბჭოს სხდომაზე. სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის 30%-ზე მეტი. გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრეთა ხმების სულ მცირე 2/3, გადაწყვეტილებები მიიღება კენჭისყრით.

3. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ფარული კენჭისყრით 4 წლის წლის ვადით სიით შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს. საბჭოს თავმჯდომარეობის კანდიდატს/კანდიდატებს ასახელებს სადისერტაციო საბჭო. სადისერტაციო საბჭოს წევრს თავადაც შეუძლია წამოაყენოს თავისი კანდიდატურა. ერთი და იგივე პირი თავმჯდომარედ შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. თავმჯდომარის არჩევამდე საბჭოს პირველ სხდომას უძღვება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი პერსონალი. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარედ შეიძლება არჩეულ იქნას მხოლოდ უნივერსიტეტის პროფესორი. სადისერტაციო საბჭოს ახალი თავმჯდომარის არჩევა უნდა მოხდეს მოქმედი თავმჯდომარის უფლებამოსილების გასვლამდე არაუგვიანეს ერთი თვისა.

4. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭო თავმჯდომარის წარდგინებით საბჭოს სიით შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს და მდივანს (საბჭოს შემადგენლობიდან) 2 წლის წლის ვადით. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი უნდა იყოს უნივერსიტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

5. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომებს იწვევს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე მინიმუმ სემესტრში სამჯერ. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სხდომაზე არყოფნის შემთხვევაში საბჭოს უძღვება თავმჯდომარის მოადგილე.

6. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს სიით შემადგენლობის არანაკლებ 1/5-ის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია მოიწვიოს რიგგარეშე სხდომა.

7. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომის მიმდინარეობა აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

8. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს ნებისმიერი გადაწყვეტილება დოქტორანტს უნდა ეცნობოს წერილობით.

9. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს საზაფხულო არდადეგები იწყება 1 ივლისიდან და გრძელდება 15 სექტემბრამდე. ამ პერიოდის განმავლობაში შეჩერებულია დისერტაციის მიღებასთან, განხილვასა და დაცვასთან დაკავშირებული ყველა პროცედურა.

მუხლი 13. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს უფლებამოსილება

უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭო:

- ირჩევს და ამტკიცებს საბჭოს თავმჯდომარეს;
- ამტკიცებს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს;
- ამტკიცებს საბჭოს მდივანს;
- განსაზღვრავს სადისერტაციო ნაშრომის ზღვრულ მოცულობას, სავარაუდო ფორმატს და სხვა ტექნიკურ მონაცემებს და ადგენს დისერტაციის შეფასების კრიტერიუმებს;
- ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის თემას;
- ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს;
- ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლებს (რეცენზენტებს);
- ამტკიცებს სადისერტაციო კომისიის შემადგენლობას (საჭიროების შემთხვევაში იწვევს დარგის აღიარებულ სპეციალისტებს);
- ამტკიცებს დაცვის თარიღს;
- ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს სადისერტაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე, დაცვის შემდგომ პირველივე საბჭოზე.

მუხლი 14. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის და მდივნის უფლებამოსილება

1 სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე:

- უზრუნველყოფს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს ფუნქციონირებას წინამდებარე დებულების საფუძველზე. პასუხისმგებელია სადისერტაციო საბჭოს საქმიანობაზე;
- უზრუნველყოფს საბჭოს ფუნქციონირებისთვის საჭირო სამოქმედო დოკუმენტების შემუშავებას, დაზუსტებასა და სრულყოფას;
- ახორციელებს კოორდინაციას უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად;
- ხელმძღვანელობს სადისერტაციო საბჭოში საქმის წარმოებას;
- იწვევს და უძღვება სადისერტაციო საბჭოს სხდომებს;
- პასუხისმგებელია დისერტაციის დაცვის პროცედურების ორგანიზებასა და მისი შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე;
- სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს ყოველწლიური შესრულებული საქმიანობის ანგარიშს;
- აკონტროლებს სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებების გამოქვეყნებას უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
- სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურას/კანდიდატურებს არჩევნებამდე ასახელებენ სადისერტაციო საბჭოს წევრები.

2. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:

- მონაწილეობს საბჭოს ფუნქციონირებისათვის საჭირო ნორმატიული და სამოქმედო დოკუმენტების შემუშავებასა, დაზუსტებასა და სრულყოფაში;
- უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს ფუნქციონირებისთვის აუცილებელი დოკუმენტაციის დროულ და შეუფერხებელ წარმოებას უნივერსიტეტში საქმის წარმოების ერთიანი წესების შესაბამისად;
- პასუხისმგებელია სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმებისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაციის წარმოებაზე;

- ამოწმებს დისერტანტის მიერ წარდგენილი სამეცნიერო გამოცემების შესაბამისობას სადისერტაციო საბჭოს დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;

- ხელმძღვანელობს საბჭოს არქივის წარმოებას;

- ეხმარება სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში;

- წარმართავს საბჭოს საქმიანობას თავმჯდომარის არყოფნის პერიოდში და უძღვება საბჭოს სხდომებს.

3. სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

- უზრუნველყოფს დისერტაციის დაცვასთან დაკავშირებულ ყველა ორგანიზაციულ საქმიანობას;

- აწარმოებს სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმებს უნივერსიტეტში საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად;

- ეხმარება თავმჯდომარეს ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში;

- აწარმოებს საბჭოს არქივს;

- უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების გამოქვეყნებას ვებგვერდზე.

მუხლი 15. სადისერტაციო ნაშრომის მომზადება

1. დისერტაცია წარმოადგენს დოქტორანტის დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე შექმნილ სამეცნიერო ნაშრომს, რომელსაც საფუძვლად უდევს მის მიერ მოპოვებული ახალი ცოდნა. დისერტაცია უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ემპირიული კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ შედეგებს, რომელთაც წვლილი შეაქვთ დარგის განვითარებაში.

2. თუ დოქტორანტი კვლევით ჯგუფშია ჩართული, ნათლად უნდა ჩანდეს მისი წვლილი.

3. დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე. მას უნდა ახლდეს დისერტაციის ძირითადი დებულებების ამსახველი მოკლე ვერსია - ავტორეფერატი ქართულ და ერთ-ერთ უცხო (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული) ენაზე (35-50 ათასი ნიშნის ფარგლებში).

4. განსაკუთრებულ შემთხვევაში სხვა ენაზე დისერტაციის შესრულების საკითხს წყვეტს სადისერტაციო საბჭო.

5. უცხოენოვანი სადოქტორო პროგრამით სადისერტაციო ნაშრომის მომზადების შემთხვევაში, დისერტაცია წარმოდგენილი იქნება შესაბამის უცხო ენაზე.

6. ნაშრომის უცხო ენაზე შესრულების შემთხვევაში კვლევის ძირითადი შედეგები - ავტორეფერატი წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე (35-50 ათასი ნიშნის ფარგლებში, A4 ფორმატის 20-25 გვერდი).

7. სადისერტაციო ნაშრომის მოცულობას, ფორმატსა და სხვა ტექნიკურ მონაცემებს განსაზღვრავს სადისერტაციო საბჭოს მიერ შემუშავებული, ფაკულტეტების საბჭოებზე დამტკიცებული დოქტორანტურის სტანდარტი და წინამდებარე დებულება.

მუხლი 16. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა

1. სადისერტაციო საბჭოში დისერტაციის წარდგენის აუცილებელი წინაპირობაა ფაკულტეტის საბჭოს წერილობითი (ამონაწერი სხდომის ოქმიდან) თანხმობა დისერტაციის საჯარო დაცვაზე წარდგენის თაობაზე.

2. სადისერტაციო ნაშრომი საბჭოს გადაეცემა სტამბური წესით აკინძულ სამ ბეჭდურ და ერთ ელექტრონულ ეგზემპლარად.

3. სადისერტაციო საბჭოს დოქტორანტი გადასცემს ბეჭდური ავტორეფერატის ქართულენოვანი ვარიანტის სამ ეგზემპლარს და უცხოენოვანი ვარიანტის ერთ ეგზემპლარს. და მათ ელექტრონულ ვერსიებს არსებული სტანდარტის დაცვით.

4. სადისერტაციო ნაშრომთან ერთად დოქტორანტმა უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის ECTS კრედიტის დაგროვების დამადასტურებელი დოკუმენტი;

- ცნობა ფინანსური ვალდებულებების შესრულების თაობაზე;

- რეცენზირებად კრებულებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ამონაბეჭდი (კრებულის თავფურცელი, სარჩევი სტატიის ავტორის, სათაურის მითითებით და სტატია);

- სამეცნიერო სემინარების, კონფერენციები და ფორუმების ნუსხა, სადაც მოხსენებული იქნა სადისერტაციო ნაშრომის დებულებები თუ შედეგები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

- დისერტანტის განცხადება სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სახელზე;

- დოქტორანტის ბიოგრაფია (CV) ფოტოსურათით;

- ამონაწერი ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან დისერტაციის განხილვისა და საბჭოში წარდგენის რეკომენდაციით;

- დისერტანტის განცხადება იმის თაობაზე, რომ დისერტაციის ტექსტი მის მიერ არის შესრულებული და ყველა მითითებული წყარო არის სწორი;

- დისერტაციას თან უნდა დაერთოს დოქტორანტის ახსნა-განმარტება იმის შესახებ, რომ ნაშრომი მის მიერ არის შესრულებული და ნაშრომში გამოქვეყნებული ყველა წყარო სათანადოდაა მითითებული;

5. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებული უნდა იქნეს დაცვამდე რეფერირებად ჟურნალ(ებ)ში/გამოცემ(ებ)ში სულ მცირე სამი სამეცნიერო ნაშრომის სახით, მათ შორის ერთი საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში/გამოცემაში, რომლ(ებ)იც შესულია შემდეგ სამეცნიერო ბაზაში/ბაზებში: Thomson Reuters Master Journal List, Scopus, Ulrich's Index, ERIH PLUS, EBSCOHost, Latindex Catalogue. სამეცნიერო პუბლიკაციაში მითითებული უნდა იყოს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის სახელი.

6. ჟურნალების/გამოცემების ნუსხას, სადაც რეკომენდირებულია სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგების გამოქვეყნება, ადგენს სადისერტაციო საბჭო. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის დროს დასაშვებია, რომ პუბლიკაცია არ იყოს დაბეჭდილი, მაგრამ უნდა იყოს ცნობა გამომცემლობიდან, რომ ნაშრომი მზადაა გამოსაცემად. დისერტანტმა ეს ნაშრომი გამოქვეყნების შემდეგ უნდა წარუდგინოს უნივერსიტეტის შესაბამისი საგანმანათლებლო ერთეულის ადმინისტრაციას.

7. დოქტორანტი უნდა იყოს გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიის პირველი ან მეორე ავტორი.

8. ფაკულტეტის საბჭო განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტის სამეცნიერო პუბლიკაციის სადისერტაციო ნაშრომთან შესაბამისობის შესახებ. უარყოფითი გადაწყვეტილების/დასკვნის შემთხვევაში, საერთაშორისო რეფერირებად გამოცემებში (სამეცნიერო სერიებში) და/ან საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში სამეცნიერო-კვლევითი პუბლიკაცი(ებ)ის გამოქვეყნების ვალდებულება დოქტორანტს არ ჩაეთვლება დაკმაყოფილებულად.

9. სადისერტაციო საბჭოს ცალკეულ შემთხვევებში შეუძლია შეიმუშაოს დამატებითი მოთხოვნები.

10. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა უნდა მოხდეს ნაშრომის სადისერტაციო საბჭოში წარდგენის დღიდან 6 თვის განმავლობაში.

11. განსაკუთრებულ შემთხვევებს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს სადისერტაციო საბჭო.

12. დისერტაციის დაცვის დღის დანიშვნის შემდგომ, დაცვამდე, დოქტორანტი ვალდებულია მიაწოდოს ავტორეფერატი (ბეჭდური ან ელექტრონული ვარიანტი) და დისერტაციის ელექტრონული ვარიანტი სადისერტაციო კომისიის წევრებს.

მუხლი 17. სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი შეფასება

1. დისერტაციის წარდგენის შემდეგ, სადისერტაციო საბჭო გამოყოფს ორ შემფასებელს (რეცენზენტს), რომლებიც წარუდგენენ სადისერტაციო საბჭოს სადისერტაციო ნაშრომის, წერილობით შეფასებას (რეცენზიას) ნაშრომის მიღებიდან არა უგვიანეს 2 თვისა.

2. შემფასებლად (რეცენზენტად) ინიშნება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც სადისერტაციო ნაშრომის სპეციალობით აქვს პუბლიკაციები ან შექმნილი აქვს შემოქმედებითი პროდუქცია შესაბამისი მიმართულებით ან ეწევა ხანგრძლივ პრაქტიკულ საქმიანობას შესაბამისი მიმართულებით.

3. შემფასებელი (რეცენზენტი) არ შეიძლება იყოს დისერტანტის მიერ შესრულებულ ნაშრომთა თანაავტორი, აგრეთვე დისერტანტზე თანამდებობრივად დამოკიდებული პირი.

4. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის მოთხოვნით, ერთი შემფასებელი (რეცენზენტი) შეიძლება იყოს უცხოეთის რომელიმე სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულების მოქმედი ან გადამდგარი თანამშრომელი, დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

5. რეცენზია სადისერტაციო ნაშრომის შეფასებასთან ერთად უნდა შეიცავდეს შესაბამის რეკომენდაციას ნაშრომის დაცვაზე დაშვების ან შესასწორებლად დოქტორანტისათვის უკან დაბრუნების, ანდა დაცვაზე უარის თქმის შესახებ, რაც ასახული იქნება დისერტაციის შეფასების უწყისშიც, წერითი ნაშრომის შეფასების წესის მიხედვით.

6. დისერტაციის შეფასება და საჯარო დაცვაზე დაშვება ხდება შემფასებელთა (რეცენზენტთა) დასკვნების საფუძველზე (იხ. შეფასების უწყისი დანართი №2).

7. შეფასების კრიტერიუმებია:

- ტექნიკური მხარე (30 ქულა):

სამეცნიერო სტანდარტებთან შესაბამისობა (10 ქულა)

9-10 ქულა	ნაშრომი შესრულებულია ციტირების წესის სრული დაცვით, ბიბლიოგარაფიის ტექნიკური გამართულობა სრულყოფილია, დანართების, სქემების, ილუსტრაციების და სხვა მასალების მოწოდება სრულყოფილადაა გამართული.
7-8 ქულა	ნაშრომი შესრულებულია ციტირების წესის ნაწილობრივი დაცვით, ბიბლიოგარაფიის ტექნიკური გამართულობა ნაწილობრივ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, დანართების, სქემების, ილუსტრაციების და სხვა მასალების მოწოდება ნაწილობრივაა გამართული.
5-6 ქულა	ნაშრომი შესრულებულია ციტირების წესის არასათანადოდ დაცვით, ბიბლიოგარაფიის ტექნიკური გამართულობა არ არის სათანადო დონეზე, დანართების, სქემების, ილუსტრაციების და სხვა მასალების მოწოდება არაა სათანადო დონეზე გამართული.
3-4 ქულა	ნაშრომში ციტირების წესი გამოყენებულია არასწორად, ბიბლიოგარაფიის ტექნიკური გამართულობა, დანართების, სქემების, ილუსტრაციების და სხვა მასალების მოწოდება ნაკლოვანია და ფრაგმენტული.
0-2 ქულა	ნაშრომი შესრულებულია ციტირების წესის უგულველყოფით, ბიბლიოგარაფიის ტექნიკური გამართულობა, დანართების, სქემების, ილუსტრაციების და სხვა მასალების მოწოდება არ შეესაბამება მოთხოვნებს.

სტრუქტურის გამართულობა (10 ქულა)

9-10 ქულა	ნაშრომის სტრუქტურირება მკაფიო და თვალსაჩინოა, ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული, რომელიც კვლევის ამოცანებს, პროცესსა და შედეგებს ცხადად გამოკვეთს; ნაშრომის სტუქტურა სარჩევში თუ თანდართულ განმარტებებში მკაფიოდაა ასახული.
7-8 ქულა	ნაშრომის სტრუქტურირება ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული, რომელიც კვლევის ამოცანებს, პროცესსა და შედეგებს ცხადად გამოკვეთს თუმცა ცალკეული საკითხები მოითხოვს დაზუსტებას. ნაშრომის სტუქტურა სარჩევში თუ თანდართულ განმარტებებში კარგადაა ასახული თუმცა მოითხოვს დაზუსტებას.
5-6 ქულა	ნაშრომის სტრუქტურირება ჩამოყალიბებულია, რომელიც კვლევის ამოცანებს, პროცესსა და შედეგებს ცხადად გამოკვეთს, მაგრამ ბოლომდე არ არის გათვალისწინებული მთელი რიგი საკითხები. ნაშრომის სტუქტურა სარჩევში თუ თანდართულ განმარტებებში

	ასახულია, მაგრამ ბოლომდე არ არის გათვალისწინებული მთელი რიგი საკითხები.
3-4 ქულა	ნაშრომის სტრუქტურირება ზედაპირულად და არააგუმენტირებულად არის ჩამოყალიბებულია, რომელიც კვლევის ამოცანებს, პროცესსა და შედეგებს ცხადად ვერ გამოკვეთს. ნაშრომის სტუქტურა სარჩევში თუ თანდართულ განმარტებებში ასახულია ზედაპირულად და არაარგუმენტირებულად.
0-2 ქულა	ნაშრომის სტრუქტურირება არაკვალიფიციურად არის ჩამოყალიბებული, რომელიც კვლევის ამოცანებს, პროცესსა და შედეგებს ვერ გამოკვეთს. ნაშრომის სტუქტურა სარჩევში თუ თანდართულ განმარტებებში ასახულია არაკვალიფიციურად.

ენობრივი და სტილისტური გამართულობა (10 ქულა)

9-10 ქულა	ენობრივად გამართულია, სამეცნიერო ენის ერთიანი სტილი ზუსტადაა დაცული, ტერმინოლოგიის სიზუსტე დაცულია, ლოგიკური და ცნებითი აპარატი დარგის სპეციფიკასთან შესაბამისი და ადეკვატურია.
7-8 ქულა	ენობრივად გამართულია, სამეცნიერო ენის ერთიანი სტილი დაცულია, თუმცა არის მცირე ხარვეზები, ტერმინოლოგიის სიზუსტე დაცულია, ლოგიკური და ცნებითი აპარატი დარგის სპეციფიკასთან შესაბამისი და ადეკვატურია.
5-6 ქულა	ენობრივად სრულყოფილად არაა გამართული, სამეცნიერო ენის ერთიანი სტილი ნაწილობრივ დაცულია, თუმცა არის რამდენიმე უზუსტობა, ტერმინოლოგიის სიზუსტე ნაწილობრივაა დაცული. ლოგიკური და ცნებითი აპარატი დარგის სპეციფიკასთან ნაწილობრივაა შესაბამისი.
3-4 ქულა	ენობრივად ნაწილობრივაა გამართული, სამეცნიერო ენის ერთიანი სტილი ნაწილობრივაა დაცული, თუმცა არის მრავალი უზუსტობა, ტერმინოლოგიის სიზუსტე არაა დაცული. ლოგიკური და ცნებითი აპარატი დარგის სპეციფიკასთან ნაწილობრივაა შესაბამისი.
0-2 ქულა	ენობრივად ნაწილობრივაა გამართული, სამეცნიერო ენის ერთიანი სტილი არა დაცული, არის მრავალი შეცდომა, ტერმინოლოგიის სიზუსტე არაა დაცული. ლოგიკური და ცნებითი აპარატი დარგის სპეციფიკასთან არაა შესაბამისი.

- შინაარსობრივი მხარე (70 ქულა):

პრობლემის აქტუალურობა (10 ქულა)

9-10 ქულა	ნაშრომში წამოჭრილი სამეცნიერო პრობლემის აქტუალურობა, დარგში არსებული პრობლემის დიაგნოსტირება და მისი აქტუალურობის სათანადო დასაბუთებულობა მკაფიოდ და ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული.
7-8 ქულა	ნაშრომში წამოჭრილი სამეცნიერო პრობლემის აქტუალურობა, დარგში არსებული პრობლემის დიაგნოსტირება და მისი აქტუალურობის სათანადო დასაბუთებულობა მკაფიოდ და ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული მაგრამ აკლია სიცხადე.
5-6 ქულა	ნაშრომში წამოჭრილი სამეცნიერო პრობლემის აქტუალურობა, დარგში არსებული პრობლემის დიაგნოსტირება და მისი აქტუალურობის სათანადო დასაბუთებულობა ფორმულირებულია, მაგრამ ბოლომდე არ არის გათვალისწინებული კონტექსტუალური ფაქტორები.

3-4 ქულა	ნაშრომში წამოჭრილი სამეცნიერო პრობლემის აქტუალურობა, დარგში არსებული პრობლემის დიაგნოსტირება და მისი აქტუალურობის სათანადო დასაბუთებულობა ზედაპირულად და არაარგუმენტირებულადაა ჩამოყალიბებული.
0-2 ქულა	ნაშრომში წამოჭრილი სამეცნიერო პრობლემის აქტუალურობა, დარგში არსებული პრობლემის დიაგნოსტირება და მისი აქტუალურობის სათანადო დასაბუთებულობა დასმულია არაკვალიფიციურად, კონტექსტუალური ფაქტორების გაუთვალისწინებლად.

კვლევის სიახლე (10 ქულა)

9-10 ქულა	საკვლევი ობიექტის/მიდგომის/მეთოდოლოგიის სიახლე, ახალი სამეცნიერო ცოდნის შექმნა/შეტანა დარგში/სფეროში, კვლევის შემდგომი განვითარების პერსპექტივის შესაძლებლობა მკაფიოდ და ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული.
7-8 ქულა	საკვლევი ობიექტის/მიდგომის/მეთოდოლოგიის სიახლე, ახალი სამეცნიერო ცოდნის შექმნა/შეტანა დარგში/სფეროში, კვლევის შემდგომი განვითარების პერსპექტივის შესაძლებლობა მკაფიოდ და ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული მაგრამ აკლია სიცხადე.
5-6 ქულა	საკვლევი ობიექტის/მიდგომის/მეთოდოლოგიის სიახლე, ახალი სამეცნიერო ცოდნის შექმნა/შეტანა დარგში/სფეროში, კვლევის შემდგომი განვითარების პერსპექტივის შესაძლებლობა ფორმულირებულია, მაგრამ ბოლომდე არ არის გათვალისწინებული კონტექსტუალური ფაქტორები.
3-4 ქულა	საკვლევი ობიექტის/მიდგომის/მეთოდოლოგიის სიახლე, ახალი სამეცნიერო ცოდნის შექმნა/შეტანა დარგში/სფეროში, კვლევის შემდგომი განვითარების პერსპექტივის შესაძლებლობა ფორმულირებულია ზედაპირულად და არაარგუმენტირებულადაა ჩამოყალიბებული.
0-2 ქულა	საკვლევი ობიექტის/მიდგომის/მეთოდოლოგიის სიახლე, ახალი სამეცნიერო ცოდნის შექმნა/შეტანა დარგში/სფეროში, კვლევის შემდგომი განვითარების პერსპექტივის შესაძლებლობა დასმულია არაკვალიფიციურად, კონტექსტუალური ფაქტორების გაუთვალისწინებლად.

კვლევის მეთოდოლოგიის სიცხადე (10 ქულა)

9-10 ქულა	შერჩეული სამეცნიერო მეთოდი/მეთოდები სრულად შეესაბამება საკვლევ თემას, კვლევის მეთოდები ეფექტიანად, მიზნობრივად და კომპლექსურადაა გამოყენებული.
7-8 ქულა	შერჩეული სამეცნიერო მეთოდი/მეთოდები თითქმის სრულად შეესაბამება საკვლევ თემას, კვლევის მეთოდები მიზნობრივად და კომპლექსურადაა გამოყენებული.
5-6 ქულა	შერჩეული სამეცნიერო მეთოდი/მეთოდები ნაწილობრივ შეესაბამება საკვლევ თემას, კვლევის ცალკეული მეთოდები მიზნობრივადაა გამოყენებული.
3-4 ქულა	შერჩეული სამეცნიერო მეთოდი/მეთოდები ნაწილობრივ შეესაბამება საკვლევ თემას, კვლევის მეთოდები ვერ უზრუნველყოფს კონკრეტული შედეგების მიღებას.
0-2 ქულა	შერჩეული სამეცნიერო მეთოდი/მეთოდები არ შეესაბამება საკვლევ თემას, კვლევის მეთოდები გამოყენებულია არაკვალიფიციურად.

განხილული მასალის შესაბამისობა თემასთან და დასაბუთებულობა (15 ქულა)

13-15 ქულა	მოძიებული მასალის შესაბამისობა საკვლევ თემასთან და მისი მრავალფეროვნება, ანალიზის სიღრმე და კვლევის ხარისხი, დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი, ძირითად საკვლევ თემაზე ნაშრომის კონცენტრირებულობის ხარისხი, ნაშრომის ნაწილებს შორის ლოგიკური კავშირის ხარისხი, დასმული საკითხისა და არსებული მასალის სიღრმისეული შესწავლის ხარისხი ეფექტიანად, მიზნობრივად და კომპლექსურადაა წარმოდგენილი.
10-12 ქულა	მოძიებული მასალის შესაბამისობა საკვლევ თემასთან და მისი მრავალფეროვნება, ანალიზის სიღრმე და კვლევის ხარისხი, დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი, ძირითად საკვლევ თემაზე ნაშრომის კონცენტრირებულობის ხარისხი, ნაშრომის ნაწილებს შორის ლოგიკური კავშირის ხარისხი, დასმული საკითხისა და არსებული მასალის სიღრმისეული შესწავლის ხარისხი მიზნობრივადაა წარმოდგენილი.
7-9 ქულა	მოძიებული მასალის შესაბამისობა საკვლევ თემასთან და მისი მრავალფეროვნება, ანალიზის სიღრმე და კვლევის ხარისხი, დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი, ძირითად საკვლევ თემაზე ნაშრომის კონცენტრირებულობის ხარისხი, ნაშრომის ნაწილებს შორის ლოგიკური კავშირის ხარისხი, დასმული საკითხისა და არსებული მასალის სიღრმისეული შესწავლის დაბალი ხარისხი ნაწილობრივ მიზნობრივადაა წარმოდგენილი.
4-6 ქულა	მოძიებული მასალის ნაწილობრივი შესაბამისობა საკვლევ თემასთან და მისი არა მრავალფეროვნება, ანალიზის არასაკმარისი სიღრმე და კვლევის ხარისხი, არასაკმარისი დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი, ძირითად საკვლევ თემაზე ნაშრომის კონცენტრირებულობის დაბალი ხარისხი, ნაშრომის ნაწილებს შორის ლოგიკური კავშირის დაბალი ხარისხი, დასმული საკითხისა და არსებული მასალის არასიღრმისეული შესწავლა ნაწილობრივ უზრუნველყოფს კონკრეტული შედეგების მიღებას.
0-3 ქულა	მოძიებული მასალის ნაწილობრივ შესაბამისობა საკვლევ თემასთან და მისი არა მრავალფეროვნება, ანალიზის არასაკმარისი სიღრმე და კვლევის ხარისხი, დამოუკიდებელი მსჯელობის უუნარობა, ძირითად საკვლევ თემაზე ნაშრომის კონცენტრირებულობის დაბალი ხარისხი, ნაშრომის ნაწილებს შორის ლოგიკური კავშირის არ არსებობა, დასმული საკითხისა და არსებული მასალის არასიღრმისეული შესწავლა ვერ უზრუნველყოფს კონკრეტული შედეგების მიღებას.

კვლევის შედეგის (დასკვნის) არგუმენტირებულობა (15 ქულა)

13-15 ქულა	ახალი მონაცემები დისერტაციაში წარმოდგენილი დასკვნებისათვის საკმარისია, კვლევის პროცესში მიღებული მონაცემები დასკვნაში საკმარისადაა ასახული, ნათელი და სარწმუნო მონაცემებით ავტორის პოზიცია გამყარებულია.
10-12 ქულა	ახალი მონაცემები დისერტაციაში წარმოდგენილი დასკვნებისათვის საკმარისია, კვლევის პროცესში მიღებული მონაცემები დასკვნაში საკმარისადაა ასახული, ნათელი და სარწმუნო მონაცემებით ავტორის პოზიციას აკლია სიცხადე/დასაბუთება.
7-9 ქულა	ახალი მონაცემები დისერტაციაში წარმოდგენილი დასკვნებისათვის საკმარისია, კვლევის პროცესში მიღებული მონაცემები დასკვნაში ნაწილობრივადაა ასახული, ავტორის პოზიცია არ არის დასაბუთებული.
4-6 ქულა	ახალი მონაცემები დისერტაციაში წარმოდგენილი დასკვნებისათვის ნაწილობრივაა

	საკმარისია, კვლევის პროცესში მიღებული მონაცემები დასკვნაში ნაწილობრივადაა ასახული, ავტორის პოზიცია ზედაპირულად და არაარგუმენტირებულადაა ჩამოყალიბებული.
0-3 ქულა	ახალი მონაცემები დისერტაციაში წარმოდგენილი დასკვნებისათვის ნაწილობრივაა საკმარისი, კვლევის პროცესში მიღებული მონაცემები დასკვნაში არაა ასახული, ავტორის პოზიცია ჩამოყალიბებულია არაკვალიფიციურად, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე.

გამოყენებული ლიტერატურის მრავალფეროვნება და სიახლე (10 ქულა)

9-10 ქულა	გამოყენებული ლიტერატურის შესაბამისობა საკვლევ თემასთან, გამოყენებული ლიტერატურის მრავალფეროვნება, ნაშრომის თემატიკის შესაბამისი საბაზისო აკადემიური კვლევების წარმოდგენისა და გააზრების, ასევე ნაშრომის თემატიკის შესაბამისი უახლესი კვლევების გამოყენების უნარი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, სიღრმისეულად გაანალიზებული და შეფასებული.
7-8 ქულა	გამოყენებული ლიტერატურის შესაბამისობა საკვლევ თემასთან, გამოყენებული ლიტერატურის მრავალფეროვნება, ნაშრომის თემატიკის შესაბამისი საბაზისო აკადემიური კვლევების წარმოდგენისა და გააზრების, ასევე უახლესი კვლევების გამოყენების უნარი არის ჩამოყალიბებული, გაანალიზებული და შეფასებული.
5-6 ქულა	გამოყენებული ლიტერატურის შესაბამისობა საკვლევ თემასთან, გამოყენებული ლიტერატურის მრავალფეროვნება, ნაშრომის თემატიკის შესაბამისი საბაზისო აკადემიური კვლევების წარმოდგენისა და გააზრების, ასევე უახლესი კვლევების გამოყენების უნარი ნაწილობრივ არის ჩამოყალიბებული, მაგრამ არ არის გაანალიზებული და შეფასებული.
3-4 ქულა	გამოყენებული ლიტერატურის შესაბამისობა საკვლევ თემასთან, გამოყენებული ლიტერატურის მრავალფეროვნება, ნაშრომის თემატიკის შესაბამისი საბაზისო აკადემიური კვლევების წარმოდგენისა და გააზრების, ასევე უახლესი კვლევების გამოყენების უნარი ზედაპირულად არის ჩამოყალიბებული, არ არის გაანალიზებული და შეფასებული.
0-2 ქულა	გამოყენებული ლიტერატურის შესაბამისობა საკვლევ თემასთან, გამოყენებული ლიტერატურის მრავალფეროვნება, ნაშრომის თემატიკის შესაბამისი საბაზისო აკადემიური კვლევების წარმოდგენისა და გააზრების, ასევე უახლესი კვლევების გამოყენების უნარი არაკვალიფიციურად არის ჩამოყალიბებული ან საერთოდ არ არის წარმოჩენილი.

8. ნაშრომი დადებითად ფასდება, თუ ის მოაგროვებს არანაკლებ 51 ქულას. 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა უფლება, შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული ნაშრომი, მეორედ წარმოადგინოს სარეცენზიოდ.

9. ორი შემფასებლიდან ერთის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭო 10 დღის ვადაში გამოყოფს ორ დამატებით შემფასებელს. თუ ერთი დასკვნა ისევ უარყოფითი იქნება, საბჭო გამოყოფს 10 დღის ვადაში კიდევ ერთ დამატებით შემფასებელს.

10. თუ ორი რეცენზენტი ითხოვს ნაშრომის დოქტორანტისთვის დაბრუნებას გადასამუშავებლად, დაცვაზე ნაშრომი არ დაიშვება და უბრუნდება დოქტორანტს გადასამუშავებლად 2 თვის ვადით და

დოქტორანტი ვალდებულია თავიდან წარუდგინოს გადამუშავებული ნაშრომი რეცენზენტებს; დოქტორანტს ნაშრომი გადასამუშავებლად გადაეცემა ერთჯერადად; გადამუშავებული ვარიანტის შეფასება რეცენზენტების მიერ ხდება მხოლოდ ნაშრომის დაცვაზე დაშვების ან არდაშვების რეკომენდაციით.

11. თუ ერთ-ერთი რეცენზენტი ითხოვს გადამუშავებას, დოქტორანტს შეუძლია გადაამუშაოს 2 თვის ვადაში ან მოთხოვოს საჯარო დაცვაზე დაშვება.

12. თუ შემფასებელთა (რეცენზენტთა) ნახევარზე მეტი უარყოფითად შეაფასებს დისერტაციას, დისერტაციის საჯარო დაცვა არ გაიმართება.

13. შემფასებლებმა თავიანთი წერილობითი დასკვნა და შეფასების უწყისი უნდა წარმოადგინონ დისერტაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 2 თვისა. დამატებითი შემფასებლების დანიშვნის შემთხვევაში მათ ნაშრომის შეფასებისათვის ეძლევათ 2 თვე.

14. დასკვნაში მითითებული უნდა იყოს გადაწყვეტილება დისერტაციის საჯარო დაცვაზე დაშვების, მისი შესწორების მიზნით დოქტორანტისათვის დაბრუნების ან საჯარო დაცვაზე უარის შესახებ. უმნიშვნელო შენიშვნების შემთხვევაში დისერტაციის დისერტაცია დაცვაზე დაიშვება.

15. თუ დისერტაცია არ იქნება დაშვებული დაცვაზე, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტს უფლება ეძლევა დამატებით იმუშაოს დისერტაციაზე და ხელახლა წარუდგინოს საბჭოს 1 წლის ვადაში (შესაბამისი კრედიტების საფასურის გადახდის შემდგომ). წინააღმდეგ შემთხვევაში პირი დაცვაზე არ დაიშვება.

16. შესწორებული ნაშრომის ისევ უარყოფითად შეფასების შემთხვევაში დისერტანტის ნაშრომი არ მიიღება საჯარო დაცვაზე წარსადგენად.

17. სადისერტაციო საბჭო გადასცემს დოქტორანტს შემფასებლების (რეცენზენტთა) დასკვნებს, ხოლო დაცვაზე დაშვების შემთხვევაში ატყობინებს დაცვის თარიღსაც. დოქტორანტს უნდა მიეცეს მაქსიმუმ 1 თვის ვადა დაცვისათვის მოსამზადებლად.

18. თუ დოქტორანტს უარი ეთქვა საჯარო დაცვაზე, უარყოფილი სადისერტაციო ნაშრომის ერთი პირი და რეცენზენტ-ოპონენტების წერილობითი დასკვნები შესანახად გადაეცემა სადისერტაციო საბჭოს არქივს. დოქტორანტი უფლებამოსილია გაეცნოს ამ დოკუმენტებს. დანარჩენი დოკუმენტები დაუბრუნდება დოქტორანტს.

19. სადისერტაციო საბჭოს მიერ დანიშნული რეცენზენტები ვალდებულები არიან გამოააშკარაონ პლაგიატი, ასეთის აღმოჩენის შემთხვევაში.

20. პლაგიატი გამოიხატება სხვისი თხზულების ან იდეის გამოყენებაში საკუთარი სახელით, ასევე სხვისი თხზულების ფრაგმენტების სესხებაში, წყაროს მითითების გარეშე. პლაგიატის აუცილებელი ნიშანია ავტორობის მითვისება.

21. პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში რეცენზენტი/ექსპერტი ვალდებულია აცნობოს სადისერტაციო საბჭოს და მას წარუდგინოს პლაგიატის არსებობის დასაბუთება წერილობითი ფორმით.

22. სადისერტაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საკითხის განხილვის ფორმისა (საბჭოზე მსჯელობა და გადაწყვეტილების მიღება, კომისიის შექმნა, სექციისთვის მიმართვა და ა.შ.) და შესაბამისი რეაგირების თაობაზე.

მუხლი 18. სადისერტაციო კომისია

1. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან კონსულტაციით სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვისთვის ქმნის სადისერტაციო კომისიას.

2. სადისერტაციო კომისია იქმნება სულ მცირე ხუთი პირის შემადგენლობით, რომელთაც აქვთ ხმის მიცემის უფლება. სადისერტაციო საბჭო ამტკიცებს კომისიის ძირითად და სათადარიგო წევრებს.

3. კომისიის წევრად არჩეული უნდა იყოს შესაბამისი დარგის სპეციალისტი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიურ ხარისხთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი. ხელმძღვანელს და შემფასებლებს

(რეცენზენტებს) აქვთ კომისიაში სათათბირო ხმით მონაწილეობის უფლება საჭიროების შემთხვევაში. ხოლო სადისერტაციო კომისიის საბოლოო თათბირსა და ხმის მიცემის პროცედურას ესწრებიან მხოლოდ კომისიის წევრები. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილი იქნან დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე დარგის სპეციალისტებიც, რომლებიც არ არიან სადისერტაციო საბჭოს წევრები. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობის ნახევარი მაინც უნდა დაკომპლექტდეს სადისერტაციო საბჭოს წევრებით.

4. სადისერტაციო კომისიას ხელმძღვანელობს კომისიის მიერ არჩეული თავმჯდომარე, რომელიც უნდა იყოს უნივერსიტეტის პროფესორი, ასოცირებული ან საპატიო პროფესორი, ემერიტუსი. კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი ან შემფასებელი (რეცენზენტი).

5. სადისერტაციო კომისიის სხდომა უფლებამოსილად ითვლება, თუ მის მუშაობაში მონაწილეობს კომისიის შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

6. სადისერტაციო კომისიის დამტკიცების შემდეგ, საბჭო უზრუნველყოფს სადისერტაციო კომისიის წევრებისთვის დისერტაციის ავტორეფერატის (ბეჭდური ან ელექტრონული ვერსიის) და დისერტაციასთან დაკავშირებით შემოსული წერილობით გამოხმაურებების მიწოდებას. მოთხოვნის შემთხვევაში კომისიის წევრებს მიეწოდება სრული სადისერტაციო ნაშრომი.

მუხლი 19. დისერტაციის საჯარო დაცვის მომზადება და დაცვა

1. დისერტაციის საჯარო დაცვის თარიღს სადისერტაციო საბჭო ნიშნავს სადისერტაციო კომისიის დამტკიცებიდან არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში.

2. დოქტორანტს დისერტაციის საჯარო დაცვის თარიღის თაობაზე წერილობით აცნობებს საბჭოს მდივანი თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

3. ინფორმაცია დისერტაციის საჯარო დაცვის თარიღისა და ადგილის თაობაზე წინასწარ ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

4. დისერტაციის დაცვა არის საჯარო.

5. დაცვის ენა არის ქართული. უცხოენოვანი პროგრამის დოქტორანტის დაცვის ენა იქნება შესაბამის ენაზე. ყველა სხვა კონკრეტულ შემთხვევას განიხილავს სადისერტაციო საბჭო.

6. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე საჯარო დაცვაზე წარადგენს დისერტანტის ყველა დოკუმენტაციას, რის შემდეგაც სადისერტაციო კომისია ასახელებს და ირჩევს სხდომის თავმჯდომარეს, რომელიც წარმართავს სხდომას. კომისიის თავმჯდომარე უზრუნველყოფს ხმის მიცემისა და შედეგების დათვლის პროცედურებს და პასუხისმგებელია კომისიის გადაწყვეტილების ამსახველ საბოლოო დასკვნაზე. კომისიის თავმჯდომარე კომისიის გადაწყვეტილებას და მასთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტს გადასცემს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს.

7. დაცვის მსვლელობა და მიღებული გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე და სადისერტაციო საბჭოს მდივანი.

8. დისერტაციის საჯარო დაცვის რეგლამენტი მოიცავს შემდეგ პროცედურებს:

- დოქტორანტის და დოკუმენტაციის წარდგენა სადისერტაციო კომისიის წინაშე საბჭოს თავმჯდომარის მიერ;
- სადისერტაციო კომისიის შემადგენლობის დამსწრეთათვის წარდგენა და კომისიის თავმჯდომარის არჩევა;
- დოქტორანტის პრეზენტაცია (არა უმეტეს 30 წუთისა);
- დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნის საჯაროდ წაკითხვა;
- რეცენზიების საჯაროდ წაკითხვა;
- რეცენზიებში წამოჭრილ შეკითხვებზე და შენიშვნებზე დოქტორანტის მხრიდან პასუხის გაცემა;
- კომისიის წევრების შეკითხვებზე დოქტორანტის პასუხის გაცემა;

- სამეცნიერო დისკუსია;

- კომისიის დახურული სხდომას – სადისერტაციო ნაშრომის შესაფასებლად და დასკვნის გაფორმებას კომისიის ყველა წევრის ხელმოწერით;

- სადისერტაციო ნაშრომის შეფასების გამოცხადება;

- დოქტორანტის საბოლოო სიტყვა.

9. კომისიის ერთ სხდომაზე შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთი დისერტაციის საჯარო დაცვა.

10. საჯარო დაცვის შემდგომ სადისერტაციო საბჭოს სამდივნო აწესრიგებს დაცვის ამსახველ დოკუმენტაციას (ოქმი, წერილობითი სახით დისერტაციის პრეზენტაციის ტექსტი, რეცენზენტთა შენიშვნებზე მისი პასუხის ტექსტები, სადისერტაციო კომისიის საბოლოო შეფასების დოკუმენტი, გამოყენებული ბიულეტენები, დისერტაციის საჯარო დაცვის მსვლელობის ამსახველი ვიდეო/აუდიო ჩანაწერი). დოკუმენტაციის შინაარსობრივ გამართულობაზე, არსებულ წესებთან შესაბამისობასა და შენახვაზე პასუხისმგებელია სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე.

მუხლი 20. სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება სადისერტაციო კომისიის მიერ

1. სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება ხდება საჯარო დაცვის დასრულებისთანავე, სადისერტაციო საბჭოს დახურულ სხდომაზე. კომისიის თითოეული წევრი აფასებს სადისერტაციო ნაშრომს ქულობრივად, წინამდებარე წესში მოცემული კრიტერიუმების თანახმად. დისერტაციის შეფასების საბოლოო ქულა დგინდება კომისიის წევრთა შეფასების საშუალო არითმეტიკულით.

2. სადისერტაციო კომისიის მუშაობა და საბოლოო შეფასება აისახება დაცვის ოქმში.

3. საბოლოო შეფასება ხდება შემდეგი სისტემის მიხედვით:

• 91-100 - ფრიადი – summa cum laude;

• 81-90 - ძალიან კარგი – magna cum laude;

• 71-80 -კარგი – cum laude;

• 61-70 -საშუალო – bene;

• 51- 60 - დამაკმაყოფილებელი – rite;

• 41- 50 - არადამაკმაყოფილებელი – insufficienter;

• 0-40 - სრულიად არადამაკმაყოფილებელი – sum omni canone.

4. სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე დოქტორანტს კომისიის დასაბუთებულ გადაწყვეტილებას აცნობს ზეპირად.

5. დისერტაცია არ ითვლება დაცულად, თუ საბოლოო შეფასება იქნება „არადამაკმაყოფილებელი“ ან „სრულიად არადამაკმაყოფილებელი“.

6. დადებითი შეფასების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის (PHD) აკადემიური ხარისხი.

7. სადისერტაციო ნაშრომის ქულობრივი შეფასება ასახული უნდა იყოს უწყისში (იხ. დანართი №3), შემდეგი წესით:

- ტექნიკური მხარე (20 ქულა):

1. სამეცნიერო სტანდარტებთან შესაბამისობა მოწმდება (5 ქულა):

• ციტირების წესის დაცვა;

• ბიბლიოგარაფიის წარმოდგენის ტექნიკური გამართულობა;

• დანართების, სქემების, ილუსტრაციების და სხვა მასალების მოწოდების გამართულობა (დასახელების, ნუმერაციის და სხვა აუცილებელი მონაცემების არსებობა).

5 ქულა	ნაშრომი შესრულებულია ციტირების წესის სრული დაცვით, ბიბლიოგარაფიის ტექნიკური გამართულობა სრულყოფილია, დანართების, სქემების, ილუსტრაციების და სხვა მასალების მოწოდება სრულყოფილადაა გამართული.

4 ქულა	ნაშრომი შესრულებულია ციტირების წესის ნაწილობრივი დაცვით, ბიბლიოგარაფიის ტექნიკური გამართულობა ნაწილობრივ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, დანართების, სქემების, ილუსტრაციების და სხვა მასალების მოწოდება ნაწილობრივაა გამართული.
3 ქულა	ნაშრომი შესრულებულია ციტირების წესის არასათანადოდ დაცვით, ბიბლიოგარაფიის ტექნიკური გამართულობა არ არის სათანადო დონეზე, დანართების, სქემების, ილუსტრაციების და სხვა მასალების მოწოდება არაა სათანადო დონეზე გამართული.
2 ქულა	ნაშრომში ციტირების წესი გამოყენებულია არასწორად, ბიბლიოგარაფიის ტექნიკური გამართულობა, დანართების, სქემების, ილუსტრაციების და სხვა მასალების მოწოდება ნაკლოვანია და ფრაგმენტული.
0-1 ქულა	ნაშრომი შესრულებულია ციტირების წესის უგულველყოფით, ბიბლიოგარაფიის ტექნიკური გამართულობა, დანართების, სქემების, ილუსტრაციების და სხვა მასალების მოწოდება არ შეესაბამება მოთხოვნებს.

2. სტრუქტურის გამართულობა მოწმდება (10 ქულა):

• ნაშრომის მკაფიო და თვალსაჩინო სტრუქტურირება, რომელიც კვლევის ამოცანებს, პროცესსა და შედეგებს ცხადად გამოკვეთს;

• ნაშრომის სტუქტურის სარჩევში თუ თანდართულ განმარტებებში ასახვა.

9-10 ქულა	ნაშრომის სტრუქტურირება მკაფიო და თვალსაჩინოა , ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული, რომელიც კვლევის ამოცანებს, პროცესსა და შედეგებს ცხადად გამოკვეთს; ნაშრომის სტუქტურა სარჩევში თუ თანდართულ განმარტებებში მკაფიოდაა ასახული.
7-8 ქულა	ნაშრომის სტრუქტურირება ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული, რომელიც კვლევის ამოცანებს, პროცესსა და შედეგებს ცხადად გამოკვეთს თუმცა ცალკეული საკითხები მოითხოვს დაზუსტებას. ნაშრომის სტუქტურა სარჩევში თუ თანდართულ განმარტებებში კარგადაა ასახული მ თუმცა მოითხოვს დაზუსტებას.
5-6 ქულა	ნაშრომის სტრუქტურირება ჩამოყალიბებულია, რომელიც კვლევის ამოცანებს, პროცესსა და შედეგებს ცხადად გამოკვეთს, მაგრამ ბოლომდე არ არის გათვალისწინებული მთელი რიგი საკითხები. ნაშრომის სტუქტურა სარჩევში თუ თანდართულ განმარტებებში ასახულია, მაგრამ ბოლომდე არ არის გათვალისწინებული მთელი რიგი საკითხები.
3-4 ქულა	ნაშრომის სტრუქტურირება ზედაპირულად და არააგუმენტირებულად არის ჩამოყალიბებულია, რომელიც კვლევის ამოცანებს, პროცესსა და შედეგებს ცხადად ვერ გამოკვეთს. ნაშრომის სტუქტურა სარჩევში თუ თანდართულ განმარტებებში ასახულია ზედაპირულად და არაარგუმენტირებულად.
0-2 ქულა	ნაშრომის სტრუქტურირება არაკვალიფიციურად არის ჩამოყალიბებული, რომელიც კვლევის ამოცანებს, პროცესსა და შედეგებს ვერ გამოკვეთს. ნაშრომის სტუქტურა სარჩევში თუ თანდართულ განმარტებებში ასახულია არაკვალიფიციურად.

3. ენობრივი და სტილისტური გამართულობა მოწმდება (5 ქულა):

• ენობრივი გამართულობა;

• სამეცნიერო ენის ერთიანი სტილის დაცვა;

• ტერმინოლოგიის სიზუსტე, ლოგიკური და ცნებითი აპარატის ადეკვატურობა და დარგის სპეციფიკასთან შესაბამისობა.

5 ქულა	ენობრივად გამართულია, სამეცნიერო ენის ერთიანი სტილი ზუსტადაა დაცული, ტერმინოლოგიის სიზუსტე დაცულია, ლოგიკური და ცნებითი აპარატი დარგის სპეციფიკასთან შესაბამისი და ადეკვატურია.
4 ქულა	ენობრივად გამართულია, სამეცნიერო ენის ერთიანი სტილი დაცულია, თუმცა არის მცირე ხარვეზები, ტერმინოლოგიის სიზუსტე დაცულია, ლოგიკური და ცნებითი აპარატი დარგის სპეციფიკასთან შესაბამისი და ადეკვატურია.
3 ქულა	ენობრივად სრულყოფილად არაა გამართული, სამეცნიერო ენის ერთიანი სტილი ნაწილობრივ დაცულია, თუმცა არის რამდენიმე უზუსტობა, ტერმინოლოგიის სიზუსტე ნაწილობრივაა დაცული. ლოგიკური და ცნებითი აპარატი დარგის სპეციფიკასთან ნაწილობრივაა შესაბამისი.
2 ქულა	ენობრივად ნაწილობრივაა გამართული, სამეცნიერო ენის ერთიანი სტილი ნაწილობრივაა დაცული, თუმცა არის მრავალი უზუსტობა, ტერმინოლოგიის სიზუსტე არაა დაცული. ლოგიკური და ცნებითი აპარატი დარგის სპეციფიკასთან ნაწილობრივაა შესაბამისი.
0-1 ქულა	ენობრივად ნაწილობრივაა გამართული, სამეცნიერო ენის ერთიანი სტილი არა დაცული, არის მრავალი შეცდომა, ტერმინოლოგიის სიზუსტე არაა დაცული. ლოგიკური და ცნებითი აპარატი დარგის სპეციფიკასთან არაა შესაბამისი.

- შინაარსობრივი მხარე (60 ქულა):

1. პრობლემის აქტუალურობა მოწმდება (5 ქულა):

• ნაშრომში წამოჭრილი სამეცნიერო პრობლემის აქტუალურობა;

• დარგში არსებული პრობლემის დიაგნოსტირება და მისი აქტუალურობის სათანადო დასაბუთებულობა.

5 ქულა	ნაშრომში წამოჭრილი სამეცნიერო პრობლემის აქტუალურობა, დარგში არსებული პრობლემის დიაგნოსტირება და მისი აქტუალურობის სათანადო დასაბუთებულობა მკაფიოდ და ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული.
4 ქულა	ნაშრომში წამოჭრილი სამეცნიერო პრობლემის აქტუალურობა, დარგში არსებული პრობლემის დიაგნოსტირება და მისი აქტუალურობის სათანადო დასაბუთებულობა მკაფიოდ და ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული მაგრამ აკლია სიცხადე.
3 ქულა	ნაშრომში წამოჭრილი სამეცნიერო პრობლემის აქტუალურობა, დარგში არსებული პრობლემის დიაგნოსტირება და მისი აქტუალურობის სათანადო დასაბუთებულობა ფორმულირებულია, მაგრამ ბოლომდე არ არის გათვალისწინებული კონტექსტუალური ფაქტორები.
2 ქულა	ნაშრომში წამოჭრილი სამეცნიერო პრობლემის აქტუალურობა, დარგში არსებული პრობლემის დიაგნოსტირება და მისი აქტუალურობის სათანადო დასაბუთებულობა ზედაპირულად და არაარგუმენტირებულადაა ჩამოყალიბებული.
0-1 ქულა	ნაშრომში წამოჭრილი სამეცნიერო პრობლემის აქტუალურობა, დარგში არსებული პრობლემის დიაგნოსტირება და მისი აქტუალურობის სათანადო დასაბუთებულობა დასმულია არაკვალიფიციურად, კონტექსტუალური ფაქტორების გაუთვალისწინებლად.

2. კვლევის სიახლე მოწმდება (10 ქულა):

• საკვლევი ობიექტის / მიდგომის / მეთოდოლოგიის სიახლე;

• ახალი სამეცნიერო ცოდნის შექმნა/შეტანა დარგში/სფეროში;

• კვლევის შემდგომი განვითარების პერსპექტივის შესაძლებლობა.

9-10 ქულა	საკვლევი ობიექტის / მიდგომის / მეთოდოლოგიის სიახლე, ახალი სამეცნიერო ცოდნის შექმნა/შეტანა დარგში/სფეროში, კვლევის შემდგომი განვითარების პერსპექტივის შესაძლებლობა მკაფიოდ და ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული.
7-8 ქულა	საკვლევი ობიექტის / მიდგომის / მეთოდოლოგიის სიახლე, ახალი სამეცნიერო ცოდნის შექმნა/შეტანა დარგში/სფეროში, კვლევის შემდგომი განვითარების პერსპექტივის შესაძლებლობა მკაფიოდ და ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული მაგრამ აკლია სიცხადე.
5-6 ქულა	საკვლევი ობიექტის / მიდგომის / მეთოდოლოგიის სიახლე, ახალი სამეცნიერო ცოდნის შექმნა/შეტანა დარგში/სფეროში, კვლევის შემდგომი განვითარების პერსპექტივის შესაძლებლობა ფორმულირებულია, მაგრამ ბოლომდე არ არის გათვალისწინებული კონტექსტუალური ფაქტორები.
3-4 ქულა	საკვლევი ობიექტის / მიდგომის / მეთოდოლოგიის სიახლე, ახალი სამეცნიერო ცოდნის შექმნა/შეტანა დარგში/სფეროში, კვლევის შემდგომი განვითარების პერსპექტივის შესაძლებლობა ფორმულირებულია ზედაპირულად და არაარგუმენტირებულადაა ჩამოყალიბებული.
0-2 ქულა	საკვლევი ობიექტის / მიდგომის / მეთოდოლოგიის სიახლე, ახალი სამეცნიერო ცოდნის შექმნა/შეტანა დარგში/სფეროში, კვლევის შემდგომი განვითარების პერსპექტივის შესაძლებლობა დასმულია არაკვალიფიციურად, კონტექსტუალური ფაქტორების გაუთვალისწინებლად.

3. კვლევის მეთოდოლოგიის სიცხადე მოწმდება (10 ქულა):
• შერჩეული სამეცნიერო მეთოდის/მეთოდების შესაბამისობა საკვლევ თემასთან;
• კვლევის მეთოდის/მეთოდების გააზრებული გამოყენება.

9-10 ქულა	შერჩეული სამეცნიერო მეთოდი/მეთოდები სრულად შეესაბამება საკვლევ თემას, კვლევის მეთოდები ეფექტიანად, მიზნობრივად და კომპლექსურადაა გამოყენებული.
7-8 ქულა	შერჩეული სამეცნიერო მეთოდი/მეთოდები თითქმის სრულად შეესაბამება საკვლევ თემას, კვლევის მეთოდები მიზნობრივად და კომპლექსურადაა გამოყენებული.
5-6 ქულა	შერჩეული სამეცნიერო მეთოდი/მეთოდები ნაწილობრივ შეესაბამება საკვლევ თემას, კვლევის ცალკეული მეთოდები მიზნობრივადაა გამოყენებული.
3-4 ქულა	შერჩეული სამეცნიერო მეთოდი/მეთოდები ნაწილობრივ შეესაბამება საკვლევ თემას, კვლევის მეთოდები ვერ უზრუნველყოფს კონკრეტული შედეგების მიღებას.
0-2 ქულა	შერჩეული სამეცნიერო მეთოდი/მეთოდები არ შეესაბამება საკვლევ თემას, კვლევის მეთოდები გამოყენებულია არაკვალიფიციურად.

4. განხილული მასალის შესაბამისობა თემასთან და დასაბუთებულობა მოწმდება (15 ქულა):
• მოძიებული მასალის შესაბამისობა საკვლევ თემასთან და მისი მრავალფეროვნება;
• ანალიზის სიღრმე და კვლევის ხარისხი;
• დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი;
• ძირითად საკვლევ თემაზე ნაშრომის კონცენტრირებულობის ხარისხი;
• ნაშრომის ნაწილებს შორის ლოგიკური კავშირის ხარისხი;
• დასმული საკითხისა და არსებული მასალის სიღრმისეული შესწავლის ხარისხი.

13-15 ქულა	მოძიებული მასალის შესაბამისობა საკვლევ თემასთან და მისი მრავალფეროვნება, ანალიზის სიღრმე და კვლევის ხარისხი, დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი, ძირითად საკვლევ თემაზე ნაშრომის კონცენტრირებულობის ხარისხი, ნაშრომის ნაწილებს შორის ლოგიკური კავშირის ხარისხი, დასმული საკითხისა და არსებული მასალის სიღრმისეული შესწავლის ხარისხი ეფექტიანად, მიზნობრივად და კომპლექსურადაა წარმოდგენილი.
10-12 ქულა	მოძიებული მასალის შესაბამისობა საკვლევ თემასთან და მისი მრავალფეროვნება, ანალიზის სიღრმე და კვლევის ხარისხი, დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი, ძირითად საკვლევ თემაზე ნაშრომის კონცენტრირებულობის ხარისხი, ნაშრომის ნაწილებს შორის ლოგიკური კავშირის ხარისხი, დასმული საკითხისა და არსებული მასალის სიღრმისეული შესწავლის ხარისხი მიზნობრივადაა წარმოდგენილი.
7-9 ქულა	მოძიებული მასალის შესაბამისობა საკვლევ თემასთან და მისი მრავალფეროვნება, ანალიზის სიღრმე და კვლევის ხარისხი, დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი, ძირითად საკვლევ თემაზე ნაშრომის კონცენტრირებულობის ხარისხი, ნაშრომის ნაწილებს შორის ლოგიკური კავშირის ხარისხი, დასმული საკითხისა და არსებული მასალის სიღრმისეული შესწავლის დაბალი ხარისხი ნაწილობრივ მიზნობრივადაა წარმოდგენილი.
4-6 ქულა	მოძიებული მასალის ნაწილობრივი შესაბამისობა საკვლევ თემასთან და მისი არა მრავალფეროვნება, ანალიზის არასაკმარისი სიღრმე და კვლევის ხარისხი, არასაკმარისი დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი, ძირითად საკვლევ თემაზე ნაშრომის კონცენტრირებულობის დაბალი ხარისხი, ნაშრომის ნაწილებს შორის ლოგიკური კავშირის დაბალი ხარისხი, დასმული საკითხისა და არსებული მასალის არასიღრმისეული შესწავლა ნაწილობრივ უზრუნველყოფს კონკრეტული შედეგების მიღებას.
0-3 ქულა	მოძიებული მასალის ნაწილობრივ შესაბამისობა საკვლევ თემასთან და მისი არა მრავალფეროვნება, ანალიზის არასაკმარისი სიღრმე და კვლევის ხარისხი, დამოუკიდებელი მსჯელობის უუნარობა, ძირითად საკვლევ თემაზე ნაშრომის კონცენტრირებულობის დაბალი ხარისხი, ნაშრომის ნაწილებს შორის ლოგიკური კავშირის არ არსებობა, დასმული საკითხისა და არსებული მასალის არასიღრმისეული შესწავლა ვერ უზრუნველყოფს კონკრეტული შედეგების მიღებას.

5. კვლევის შედეგის (დასკვნის) არგუმენტირებულობა მოწმდება (15 ქულა):

- საკმარისია თუ არა ახალი მონაცემები დისერტაციაში წარმოდგენილი დასკვნებისათვის;
- საკმარისად ასახულია თუ არა კვლევის პროცესში მიღებული მონაცემები დასკვნაში;
- გამყარებულია თუ არა ავტორის პოზიცია ნათელი და სარწმუნო მონაცემებით.

13-15 ქულა	ახალი მონაცემები დისერტაციაში წარმოდგენილი დასკვნებისათვის საკმარისია, კვლევის პროცესში მიღებული მონაცემები დასკვნაში საკმარისადაა ასახული, ნათელი და სარწმუნო მონაცემებით ავტორის პოზიცია გამყარებულია.
10-12 ქულა	ახალი მონაცემები დისერტაციაში წარმოდგენილი დასკვნებისათვის საკმარისია, კვლევის პროცესში მიღებული მონაცემები დასკვნაში საკმარისადაა ასახული, ნათელი და სარწმუნო მონაცემებით ავტორის პოზიციას აკლია სიცხადე/დასაბუთება.

7-9 ქულა	ახალი მონაცემები დისერტაციაში წარმოდგენილი დასკვნებისათვის საკმარისია, კვლევის პროცესში მიღებული მონაცემები დასკვნაში ნაწილობრივადაა ასახული, ავტორის პოზიცია არ არის დასაბუთებული.
4-6 ქულა	ახალი მონაცემები დისერტაციაში წარმოდგენილი დასკვნებისათვის ნაწილობრივაა საკმარისია, კვლევის პროცესში მიღებული მონაცემები დასკვნაში ნაწილობრივადაა ასახული, ავტორის პოზიცია ზედაპირულად და არაარგუმენტირებულადაა ჩამოყალიბებული.
0-3 ქულა	ახალი მონაცემები დისერტაციაში წარმოდგენილი დასკვნებისათვის ნაწილობრივაა საკმარისი, კვლევის პროცესში მიღებული მონაცემები დასკვნაში არაა ასახული, ავტორის პოზიცია ჩამოყალიბებულია არაკვალიფიციურად, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე.

6. გამოყენებული ლიტერატურის მრავალფეროვნება და სიახლე მოწმდება (5 ქულა):

• გამოყენებული ლიტერატურის შესაბამისობა საკვლევ თემასთან;

• გამოყენებული ლიტერატურის მრავალფეროვნება;

• ნაშრომის თემატიკის შესაბამისი საბაზისო აკადემიური კვლევების წარმოდგენისა და გააზრების ხარისხი;

• ნაშრომის თემატიკის შესაბამისი უახლესი კვლევების გამოყენება.

5 ქულა	გამოყენებული ლიტერატურის შესაბამისობა საკვლევ თემასთან, გამოყენებული ლიტერატურის მრავალფეროვნება, ნაშრომის თემატიკის შესაბამისი საბაზისო აკადემიური კვლევების წარმოდგენისა და გააზრების, ასევე ნაშრომის თემატიკის შესაბამისი უახლესი კვლევების გამოყენების უნარი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, სიღრმისეულად გაანალიზებული და შეფასებული.
4 ქულა	გამოყენებული ლიტერატურის შესაბამისობა საკვლევ თემასთან, გამოყენებული ლიტერატურის მრავალფეროვნება, ნაშრომის თემატიკის შესაბამისი საბაზისო აკადემიური კვლევების წარმოდგენისა და გააზრების, ასევე უახლესი კვლევების გამოყენების უნარი არის ჩამოყალიბებული, გაანალიზებული და შეფასებული.
3 ქულა	გამოყენებული ლიტერატურის შესაბამისობა საკვლევ თემასთან, გამოყენებული ლიტერატურის მრავალფეროვნება, ნაშრომის თემატიკის შესაბამისი საბაზისო აკადემიური კვლევების წარმოდგენისა და გააზრების, ასევე უახლესი კვლევების გამოყენების უნარი ნაწილობრივ არის ჩამოყალიბებული, მაგრამ არ არის გაანალიზებული და შეფასებული.
2 ქულა	გამოყენებული ლიტერატურის შესაბამისობა საკვლევ თემასთან, გამოყენებული ლიტერატურის მრავალფეროვნება, ნაშრომის თემატიკის შესაბამისი საბაზისო აკადემიური კვლევების წარმოდგენისა და გააზრების, ასევე უახლესი კვლევების გამოყენების უნარი ზედაპირულად არის ჩამოყალიბებული, არ არის გაანალიზებული და შეფასებული.
0-1 ქულა	გამოყენებული ლიტერატურის შესაბამისობა საკვლევ თემასთან, გამოყენებული ლიტერატურის მრავალფეროვნება, ნაშრომის თემატიკის შესაბამისი საბაზისო აკადემიური კვლევების წარმოდგენისა და გააზრების, ასევე უახლესი კვლევების გამოყენების უნარი არაკვალიფიციურად არის ჩამოყალიბებული ან საერთოდ არ არის წარმოჩენილი.

- დაცვა-პრეზენტაცია (20 ქულა):

1. დისერტანტის გამოსვლის გამართულობა და პრეზენტაბელურობა მოწმდება (10 ქულა):

• დისერტანტის გამოსვლაში ნაშრომის წარდგენის ხარისხი: ნაშრომის მიზნების, შერჩეული მეთოდის, პროცესის, მიღებული დასკვნების და სხვა მასთან დაკავშირებული საკითხების ლოგიკურად, არგუმენტირებულად, ლაკონურად და გამართულად წარმოჩენა;

• წარმოდგენილი პრეზენტაციისა და ვიზუალური მასალის ნაშრომის თემასთან შესაბამისობა, აქცენტების ლოგიკურობა და გამართულობა.

9-10 ქულა	დისერტანტის გამოსვლაში ნაშრომის მიზნები, შერჩეული მეთოდი, პროცესის, მიღებული დასკვნების და სხვა მასთან დაკავშირებული საკითხები ლოგიკურად, არგუმენტირებულად, ლაკონურად და გამართულად, წარმოდგენილი პრეზენტაციისა და ვიზუალური მასალის ნაშრომის თემასთან შესაბამისობა, აქცენტების ლოგიკურობა და გამართულობა საფუძვლიანად ცოდნის დემონსტრირებითაა წარმოჩენილი.
7-8 ქულა	დისერტანტის გამოსვლაში ნაშრომის მიზნები, შერჩეული მეთოდი, პროცესის, მიღებული დასკვნების და სხვა მასთან დაკავშირებული საკითხები ლოგიკურად, არგუმენტირებულად, ლაკონურად და გამართულად, წარმოდგენილი პრეზენტაციისა და ვიზუალური მასალის ნაშრომის თემასთან შესაბამისობა, აქცენტების ლოგიკურობა და გამართულობა ამ თემის ირგვლივ ცოდნის დემონსტრირებითაა წარმოჩენილი თუმცა აკლია დამაჯერებლობა.
5-6 ქულა	დისერტანტის გამოსვლაში ნაშრომის მიზნები, შერჩეული მეთოდი, პროცესის, მიღებული დასკვნების და სხვა მასთან დაკავშირებული საკითხები ნაკლებ ლოგიკურად,ნაკლებ არგუმენტირებულადაა წარმოდგენილი. პრეზენტაციისა და ვიზუალური მასალის ნაშრომის თემასთან შესაბამისობა, აქცენტების ლოგიკურობა და გამართულობა ამ თემის ირგვლივ ნაწილობრივი ცოდნის დემონსტრირებითაა წარმოჩენილი თუმცა მსჯელობა არასრული და არადამაჯერებელია.
3-4 ქულა	დისერტანტის გამოსვლაში ნაშრომის მიზნები, შერჩეული მეთოდი, პროცესის, მიღებული დასკვნების და სხვა მასთან დაკავშირებული საკითხები ნაკლებ ლოგიკურად,ნაკლებ არგუმენტირებულადაა წარმოდგენილი. პრეზენტაციისა და ვიზუალური მასალის ნაშრომის თემასთან შესაბამისობა, აქცენტების ლოგიკურობა და გამართულობა ამ თემის ირგვლივ მწირი ცოდნის დემონსტრირებითაა წარმოჩენილი. მსჯელობა ნაკლოვანი და ფრაგმენტულია, ვერ ასახავს წარმოდგენილი თემის შინაარსს.
0-2 ქულა	დისერტანტის გამოსვლაში ნაშრომის მიზნები, შერჩეული მეთოდი, პროცესის, მიღებული დასკვნების და სხვა მასთან დაკავშირებული საკითხები ალოგიკურად,არაარგუმენტირებულადაა წარმოდგენილი. მან ვერ შეძლო თემის წარმოდგენა. მსჯელობა საკითხის შესაბამისი არ არის.

2. კითხვებზე პასუხის გაცემის ლოგიკურობა, დასაბუთებულობა და აკადემიურობის დაცვა მოწმდება (10 ქულა):

• რეცენზენტების, ექსპერტების, სადისერტაციო კომისიის წევრების შეკითხვებსა და შენიშვნებზე პასუხების გაცემის ლოგიკურობა, არგუმენტირებულობა, ლაკონურობა და ადეკვატურობა.

• აკადემიურობის დაცვა - პასუხების გაცემისას სამეცნიერო დებატების სტანდარტების და ეთიკური ნორმების დაცვა.

9-10 ქულა	რეცენზენტების, ექსპერტების, სადისერტაციო კომისიის წევრების შეკითხვებსა და შენიშვნებზე პასუხების გაცემის ლოგიკურობა, არგუმენტირებულობა, ლაკონურობა და ადეკვატურობა წარმოჩენილია საკითხის საფუძვლიანად ცოდნის დემონსტრირებით. სახეზეა აკადემიურობის დაცვა - პასუხების გაცემისას სამეცნიერო დებატების სტანდარტების და ეთიკური ნორმების დაცვა.
7-8 ქულა	რეცენზენტების, ექსპერტების, სადისერტაციო კომისიის წევრების შეკითხვებსა და შენიშვნებზე პასუხების გაცემის ლოგიკურობა, არგუმენტირებულობა, ლაკონურობა და ადეკვატურობა წარმოჩენილია საკითხის კარგად ცოდნის დემონსტრირებით. სახეზეა აკადემიურობის დაცვა - პასუხების გაცემისას სამეცნიერო დებატების სტანდარტების და ეთიკური ნორმების დაცვა. მსჯელობა კარგ დონეზეა თუმცა მოკლებულია დამაჯერებლობას.
5-6 ქულა	რეცენზენტების, ექსპერტების, სადისერტაციო კომისიის წევრების შეკითხვებსა და შენიშვნებზე პასუხების გაცემის ლოგიკურობა, არგუმენტირებულობა, ლაკონურობა და ადეკვატურობა წარმოჩენილია საკითხის საშუალოდ ცოდნის დემონსტრირებით. სახეზეა აკადემიურობის დაცვა - პასუხების გაცემისას სამეცნიერო დებატების სტანდარტების და ეთიკური ნორმების დაცვა. მსჯელობა არასრული და არადამაჯერებელია.
3-4 ქულა	სახეზეა რეცენზენტების, ექსპერტების, სადისერტაციო კომისიის წევრების შეკითხვებსა და შენიშვნებზე პასუხების გაცემის ლოგიკურობის, არგუმენტირებულობის, ლაკონურობის და ადეკვატურობის დეფიციტი. სახეზეა აკადემიურობის დაცვა - პასუხების გაცემისას სამეცნიერო დებატების სტანდარტების და ეთიკური ნორმების დაცვა. მსჯელობა ნაკლოვანია და ფრაგმენტული.
0-2 ქულა	სახეზეა რეცენზენტების, ექსპერტების, სადისერტაციო კომისიის წევრების შეკითხვებსა და შენიშვნებზე პასუხების გაცემის ალოგიკურობა, არა არგუმენტირებულობა, არალაკონურობა და არაადეკვატურობა. სახეზეა აკადემიურობის დაცვა - პასუხების გაცემისას სამეცნიერო დებატების სტანდარტების და ეთიკური ნორმების დაცვა. ვერ მსჯელობს და ვერ ახერხებს კითხვებზე პასუხის გაცემას.

8. ნაშრომის შეფასების შედეგი დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დოქტორანტს, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელსა და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს.

9. ნაშრომი და ნაშრომის შეფასება არ არის ხელმისაწვდომი საჯაროდ, სადისერტაციო საბჭოს მიერ დაცვის დანიშვნამდე, გარდა ამ მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული პირებისა.

მუხლი 21. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება

უნივერსიტეტის დოქტორის (Ph.D) აკადემიურ ხარისხს ანიჭებს უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭო შესაბამისი სპეციალობით ამ დებულებით დადგენილი წესით.

მუხლი 22. დისერტაციის გამოქვეყნება

1. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი გაიცემა დისერტაციის გამოქვეყნების შემდგომ.

2. დისერტაციის დაცვის შემდეგ, 6 თვის ვადაში უნივერსიტეტი, სადისერტაციო საბჭოს მიმართვის საფუძველზე, უზრუნველყოფს დისერტაციის გამოქვეყნებას ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით.

მუხლი 23. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი

1. უნივერსიტეტის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებას ადასტურებს დიპლომი (მოწმობა).

2. დიპლომი გაიცემა არა უგვიანეს 6 თვის ვადაში დისერტაციის დაცვის შემდეგ. დიპლომის გაცემამდე დოქტორანტს ეძლევა შესაბამისი ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

3. დიპლომში აღნიშნულია სადისერტაციო საბჭოს დასახელება, დაცვის თარიღი, საერთო შეფასება და სპეციალობის დასახელება. დიპლომს უნდა ახლდეს დანართი.

4. დიპლომი გაიცემა დისერტაციის გამოქვეყნების შემდეგ. დიპლომს ხელს აწერს უნივერსიტეტის რექტორი, სადოქტორო პროგრამის შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე. დიპლომი დასტურდება უნივერსიტეტის ბეჭდით.

5. დიპლომის ასლი ინახება უნივერსიტეტის არქივში.

6. სადისერტაციო საქმის წარმოებისას არასწორი მონაცემების წარდგენის და აკადემიური პატიოსნების ნორმების დარღვევის შემთხვევაში, დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი არ გაიცემა. შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს სადისერტაციო საბჭო.

7. დოქტორის აკადემიური ხარისხი დოქტორს ჩამოერთმევა უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, აკადემიური პატიოსნების ნორმების (სადისერტაციო ნაშრომში გაყალბებული მონაცემების გამოყენება ან პლაგიატი) დარღვევის შემთხვევაში.

მუხლი 24. საპატიო დოქტორის წოდების მინიჭება

1. უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭება განსაკუთრებული სამეცნიერო და ხანგრძლივი (არანაკლებ 15 წლისა) შემოქმედებით-პედაგოგიური დამსახურების მქონე პირს.

2. უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილებას სადისერტაციო საბჭოს წარდგინებით იღებს ფაკულტეტის საბჭო.

3. საპატიო დოქტორის დიპლომს ხელს აწერს უნივერსიტეტის რექტორი და დასტურდება უნივერსიტეტის ბეჭდით.

დანართი №1

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის
_____ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამაზე _____სწავლის ხარჯთაღრიცხვის ფორმა

№	დანახარჯის მუხლები	ერთეული (კრედიტი / სთ)	ერთეულის ღირებულება (ლარი)	რაოდენობა	სულ თანხა (ლარი)
1	სასწავლო კომპონენტი				
2	დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობა				
3	სადისერტაციო ნაშრომის შესრულებისათვის საჭირო აქტივობები (თემატიკის სპეციფიკიდან გამომდინარე ლიტერატურის/წყაროების მოძიება; ექსპერიმენტის ჩატარება...)				
4	ნაშრომის/სტატიის გამოქვეყნება				
5	მივლინება				
6	სადისერტაციო ნაშრომის საერთაშორისო რეცენზირება				
7	სადისერტაციო საბჭოში სადისერტაციო ნაშრომის შეფასება და საჯარო დაცვა				
8	ადმინისტრირების ხარჯი				
9	სულ				

დანართი №2

დისერტაციის წინასწარი შეფასების უწყისი (რეცენზენტის შეფასება)

ავტორის სახელი, გვარი _____
ნაშრომის სათაური _____

№	კრიტერიუმები	ქულათა მაქსიმალური რაოდენობა	შეფასება
ტექნიკური მხარე 30 ქულა			
1	სამეცნიერო სტანდარტებთან შესაბამისობა	10	
2	სტრუქტურის გამართულობა	10	
3	ენობრივი და სტილისტური გამართულობა	10	
შინაარსობრივი მხარე 70 ქულა			
1	პრობლემის აქტუალურობა	10	

2	კვლევის სიახლე	10	
3	კვლევის მეთოდოლოგიის სიცხადე	10	
4	განხილული მასალის შესაბამისობა თემასთან და დასაბუთებულობა	15	
5	კვლევის შედეგის (დასკვნის) არგუმენტირებულობა	15	
6	გამოყენებული ლიტერატურის მრავალფეროვნება და სიახლე	10	
	სულ		

თარიღი _____ ხელისმოწერა _____

დანართი №3

დისერტაციის საბოლოო შეფასების უწყისი (სადისერტაციო კომისიის შეფასება)

ავტორის სახელი, გვარი _____
ნაშრომის სათაური _____

№	კრიტერიუმები	ქულათა მაქსიმალური რაოდენობა	შეფასება
	ტექნიკური მხარე 20 ქულა		
1	სამეცნიერო სტანდარტებთან შესაბამისობა	5	
2	სტრუქტურის გამართულობა	10	
3	ენობრივი და სტილისტური გამართულობა	5	
	შინაარსობრივი მხარე 60 ქულა		
1	პრობლემის აქტუალურობა	5	
2	კვლევის სიახლე	10	
3	კვლევის მეთოდოლოგიის სიცხადე	10	
4	განხილული მასალის შესაბამისობა თემასთან და დასაბუთებულობა	15	
5	კვლევის შედეგის (დასკვნის) არგუმენტირებულობა	15	
6	გამოყენებული ლიტერატურის მრავალფეროვნება და სიახლე	5	
	დაცვა - პრეზენტაცია 20 ქულა		
1	დისერტანტის გამოსვლის გამართულობა და პრეზენტაბელურობა	10	
2	კითხვებზე პასუხის გაცემის ლოგიკურობა, დასაბუთებულობა და აკადემიურობის დაცვა	10	
	სულ		

თარიღი _____ ხელისმოწერა _____